საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფაქვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 24 დეკემბერი, 2013 წელი.

№248 (7376)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

მოლოტოვი სტალინმა ჰაერში მოხსნა, უგულავა დახურულ კარს მილმა დაიქნიეს ④

„პაჭანიგები“ ⑤

2013 წლის მარტში გიგი უგულავას სატელეფონო ხარჯმა... 38 ათასი ლარი(!!!) შეადგინა ③

ქართულმა მხარემ საყდრისის საკითხი საქართველოშივე უნდა გადაწყვიტოს!

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება ②



ვახტანგ ძაბირაძე:

თუ სამართლიანობა არ აღდგა, პოლიტიკური ფიასკო გარდუვალია ⑥

მთავარი ③ ფინანსისტის ოპტიმიზმი...

როცა ქვეყანას სიღარიბე ჭამს

მავთულხლართები საქართველოს საზღვარზე

რუსეთის შეჭრის ხუთი წლის შემდეგ ⑧

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

ილია მეორე აღზრდის პროგრამის შემუშავების ინიციატივით გამოდის

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე აღზრდის პროგრამის შემუშავების ინიციატივით გამოდის.

როგორც უწმინდესმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, ახალგაზრდები ამთავრებენ უმაღლეს სასწავლებლებს, თუმცა ცოდნა დაბალია, აღზრდა კი საერთოდ არ არის.

ილია მეორე მიიჩნევს, რომ მეცნიერებმა არა მხოლოდ ცოდნის მიცემაზე, არამედ აღზრდაზეც უნდა იფიქრონ. „აღზრდას არა მხოლოდ ოჯახი, არამედ სკოლა და ეკლესიაც უნდა აძლევდეს. ადამიანი, რომელსაც განათლება და აღზრდა ექნება, ბედნიერი იქნება. მე ვთხოვ ჩვენს მეცნიერებს, იფიქრონ ამ პრობლემაზე. დღეს თითქმის ყველაფრის შემსწავლელი სასწავლებლები არსებობს, მაგრამ ვცხოვრობთ იმ დროს, როდესაც დაიხურა ფილოსოფიის ინსტიტუტი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტი და მრავალი სხვა, რამაც მეტად გაამწვავა ეს საკითხი. იმედი მაქვს, განათლების სამინისტრო იფიქრებს, როგორ შეიძლება შეიქმნას აღზრდის პროგრამა და რა უნდა დაეკისროს სკოლას, ოჯახს თუ ეკლესიას ამ დარგში“, — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა იმედი გამოთქვა, რომ ქართველი მეცნიერები ამ რთულ საკითხს ჩასწვდებიან და აღზრდის კარგი პროგრამა შეიქმნება.

ირაკლი ღარიბაშვილის აშშ-ში ვიზიტი 2014 წლის პირველი ნახევრისთვის იგეგმება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 2014 წლის პირველ ნახევარში ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტს გამართავს, — ამის შესახებ წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა.

ამასთან, მაია ფანჯიკიძეს ვიზიტის თარიღი და დეტალები არ დაუკონკრეტებია. გარდა ამისა, საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, 2014 წლის იანვრის ბოლოს ირაკლი ღარიბაშვილი ვიზიტით გაემგზავრება ისრაელში, სადაც ერთ-ერთი განხილვის თემა ვიზების საკითხი იქნება.

— იქაც ვიწყებთ სავაჭრო ურთიერთობაზე საუბარს. ისრაელში ეკონომიკური კომისიის სხდომა გაიმართება, - აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

რაც შეეხება ისრაელთან უვიზო მიმოსვლას, ფანჯიკიძის განმარტებით, „უვიზო მიმოსვლა ძალიან მალე შევა ძალაში“.

მთავრობა „საქართველოს სუვერენულ ფონდს“ ქმნის

მთავრობა „საქართველოს სუვერენულ ფონდს“ აფუძნებს. ფონდის აქციათა 100%-ის მფლობელი სახელმწიფო იქნება და მის კაპიტალში გადავა ამჟამად „საპარტნიორო ფონდში„ არსებული სახელმწიფო აქციები. „საქართველოს სუვერენულ ფონდს“ გადაეცემა: „საქართველოს რკინიგზა“, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, „თელასი“.

„სააქციო საზოგადოება - საქართველოს სუვერენული ფონდის შესახებ„ კანონპროექტი მთავრობამ პარლამენტს უკვე წარუდგინა, სადაც აღნიშნული ფონდის მიზნებად დასახელებულია მომგებიანი საინვესტიციო პროექტების განვითარება და ხელშეწყობა, მომგებიან პროექტებში კერძო ინვესტიციების მოზიდვა.

თავის მხრივ, „საპარტნიორო ფონდი“ „სტატეგიული განვითარების ფონდად„ გარდაიქმნება და ის „საქართველოს სუვერენული ფონდის“ შვილობილი საწარმო იქნება, რომლის დამფუძნებელიც და აქციათა 100%-ის მფლობელი თავად ეს ფონდი იქნება. მთავრობის შეფასებით, „საპარტნიორო ფონდის“ მოქმედი სტრუქტურა და ფუნქციები საერთაშორისო პრაქტიკაში მსგავსი ტიპის ორგანიზაციებისადმი არსებულ მოთხოვნებს არ შეესაბამება და სამეწარმეო რისკებისგან დაცული არ არის სახელმწიფო სტრატეგიულ საწარმოებში არსებული წილები.

„საქართველოს სუვერენული ფონდი„ ასევე დააფუძნებს „სტრატეგიული აქტივების კომპანიას“, სადაც „საქართველოს რკინიგზის“, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ და „თელასის“„ აქციები/წილები შევა.

„სააქციო საზოგადოება - საქართველოს სუვერენული ფონდის შესახებ“ კანონპროექტის მიღებისა და ამოქმედების შემდეგ, „საპარტნიორო ფონდის შესახებ„ კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდება.

◎ პოზიცია

ქართულმა მხარემ საყდრისის საკითხი საქართველოშივე უნდა გადაწყვიტოს!



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

ძართულ საზოგადოებაში დიდი მღელვარება გამოიწვია საყდრისის ოქროს მაღაროს ირგვლივ განვითარებულმა მოვლენებმა. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ საყდრისთან დაკავშირებით მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თავის დროზე არ ჩართეს, საერთაშორისო დონეზე აყვანილი სადავო საკითხის განხილვის პროცესში, რათა თავისი კვალიფიციური კვლევა ჩაეტარებინა და თუნდაც კომპეტენტური აზრი გამოეთქვა.

საყდრისის საკითხის ირგვლივ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პოზიციის გამოხატვის პირველი მცდელობა იყო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისადმი 2013 წლის 31 ივლისს გაგზავნილი წერილი, რომელშიც მეცნიერებათა აკადემია ერთმნიშვნელოვნად აფიქსირებს ობიექტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის აუცილებლობას.

სამწუხაროდ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროსთვისკულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნისას არ გაითვალისწინა კანონით გაწერილი პროცედურები.

ამ ხარვეზის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მოგვიანებით მიუთითა — მიმდინარე წლის 26 სექტემბერს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, კანონის შესაბამისად, საკითხის შესწავლაში მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჩართვა მოსთხოვა.

საკითხის გადაწყვეტა დროში შეზღუდული იყო. არსებული რეალობიდან გამომდინარე, პრემიერ-მინისტრმა მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას არქეოლოგიური კვლევების ზედამხედველობა დაავალა. არქეოლოგიური კვლევისთვის გამოყოფილი ორთვიანი პერიოდი, სრულფასოვანი სამეცნიერო დასკვნის დადების საშუალებას არ იძლევა.

ვინაიდან საყდრისის საკითხმა იმდენად მწვავე ხასიათი მიიღო, რომ საქართველო-გერმანიის სამთავრობათაშორისო დონეზე განხილვის საგანიც კი გახდა (ვგულისხმობთ, 9 დეკემბერს ბერლინში გამართულ შეხვედრას), საჭიროდ ჩავთვალეთ საკითხის გულდასმით შესწავლა, რაზე დაყრდნობითაც ვაცხადებთ შემდეგს:

1. გავეცანით უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მეცნიერთა მიმართვებს პრემიერ-მინისტრისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისადმი, რომლებშიც ისინი ხაზს უსვამენ საყდრისის მაღაროს მნიშვნელობა, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისათვის და შეშფოთებას გამოთქვამენ იმ საფრთხის გამო, რომელიც ძეგლს შეექმნა;

2. რვა წლის განმავლობაში საყდრისში კვლევებს ატარებდა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც მსოფლიოში წამყვანი არქეოლოგიური დაწესებულებაა და რომლის კომპეტენცია და ავტორიტეტი მსოფლიოში ეჭვქვეშ არსად, არასდროს დამდგარა;

3. შესაბამისად, რვა წლის განმავლობაში ამ უაღრესად ავტორიტეტული კვლევების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების ეჭვქვეშ დაყენება, მეტიც, გერმანელი მეცნიერების არაკეთილსინდისიერებაში დადანაშაულება, არაეთიკურ საქციელად მიგვაჩნია;

4. მივესალმებით გერმანული მხარის კეთილ ნებას, საყდრისში არქეოლოგიური კვლევების გაგრძელების შესახებ და ასევე, მის ინიციატივას, საყდრისის საკითხთან დაკავშირებით დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე. თუმცა, მიგვაჩნია, რომ საქმე აქამდე არ უნდა მისულიყო. აქვე ვადასტურებთ ჩვენს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში ჩავერთოთ საერთაშორისო ექსპერტიზის მუშაობის პროცესში;

5. ამავე დროს, მეცნიერებათა აკადემია რეალისტურად აფასებს იმ უზარმაზარ სხვაობას სამეცნიერო კომპეტენციაში, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტსა და, მეორე მხრივ, 11-კაციან კომისიას შორის. მიგვაჩნია, რომ შედეგი გერმანელ მეცნიერთა სასარგებლო იქნება, რამაც არ შეიძლება არ აღძრას უხერხულობის განცდა იმ მორალური ზიანის გამო, რომელიც ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო პრესტიჟს მიადგება. ვიმედოვნებთ, რომ ქართული მხარე საკითხს საქართველოშივე გადავწყვეტთ და ეს საქმე ქვეყნის გარეთ განხილვის საგანი არ გახდება.

23 დეკემბერი, 2013 წელი.

◎ პრეზიდენტი

„ვანო მერაბიშვილისთვის ცალკე პრაქტიკის გამოგონება არ შეიძლება“

საქართველოს პრეზიდენტი ვანო მერაბიშვილის, როგორც ყოფილი მაღალი თანამდებობის პირის საქმის ცალკე გამოყოფის საჭიროებას ვერ ხედავს.

როგორც გიორგი მარგველაშვილი „კვირის პალიტრასთან„ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, ცალკე პრაქტიკის გამოგონება ყოფილი ან მოქმედი თანამდებობის პირებისთვის არ შეიძლება.

„ჩვენი ოპონენტების იდეოლოგია ბოლო ერთი წლის განმავლობაში ისტერიკულ განცხადებებს აკეთებდა იმის თაობაზე, რომ თურმე საქართველოში პოლიტიკური დევნაა. მათ ახლა კი არ დაუწყიათ ლაპარაკი „რეპრესიებზე„, უბრალოდ, ისინი ყოველთვის ეძებენ საბაბს იმისა, რომ პედალირება მოახდინონ „პოლიტიკურ დევნაზე„. ერთხანს შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ „ნაცმოძრაობას„ საკუთარი თავის ისეთ პრივილეგირებულ კასტად გამოცხადება უნდოდა, რომელსაც კანონები შერბილებული ვერსიით უნდა შეხებოდა და თუ ეს ასე არ მოხდებოდა და კანონი მათთვისაც ისეთივე იქნებოდა, როგორიც ყველასთვის, პოლიტიკურ დევნაზე მოჰყვებოდნენ ლაპარაკს“, — აცხადებს პრეზიდენტი.

გიორგი მარგველაშვილის თქმით, ხელისუფლებამ, ერთი წლის განმავლობაში უაღრესად რთულ კობიტაციურ რეჟიმში შეძლო, ქართული საზოგადოებისა და უცხოელი პარტნიორებისთვის ეჩვენებინა, რომ საქართველოში კანონები ერთნაირად ეხება ყველა მოქალაქეს, მათ შორის როგორც წინა, ასევე ახალი ხელისუფლების წევრებსაც.

— რაც შეეხება მერაბიშვილის საქმეს. არ მიმაჩნია სწორად, რომ ეს შემთხვევა ცალკე უნდა გამოიყოს, რადგან ყოფილ მაღალი თანამდებობის პირს ეხება. შესაბამისად, რაიმე ცალკე პრაქტიკის გამოგონება ყოფილი ან მოქმედი თანამდებობის პირებისთვის ან, მაგალითად, ვანო მერაბიშვილისთვის, არ შეიძლება. გამოძიება კონკრეტულად უნდა იყოს დამოკიდებული იმ პროცედურულ ნორმებზე, რომელიც კანონით არის განსაზღვრული. არაფრის დიდებით არ შეიძლება ამ ნორმებიდან გადახვევა პოლიტიკური მოტივაციით. ამ საქმის გახმაურების პირველივე წუთებიდან განცხადებებს აკეთებდნენ არა იურისტები, არამედ პოლიტიკოსები, რითაც ყოველივეს პოლიტიკური ელფერი მიეცა. არადა, ეს ყოველივე არის სამართალდამცავების, იურისტების კომპეტენცია და, შესაბამისად, მათ კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით უნდა განახორციელონ პროცესი, — აცხადებს გიორგი მარგველაშვილი.

საქართველოს პრეზიდენტთან ექსკლუზიური ინტერვიუ გაზეთ „კვირის პალიტრის„ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა.

ინტერპრესი

ქრისტეს მხედარი

ჭაბუა ამირეჯიბი ცოცხალი სიმბოლო იყო ქართული სულისა. მათი ძველი გვარი, მათი ჯიში და მოდგმა განსახიერება იყო ქართული რასის სიმშვენიერისა. მშვენიერი იყო თავად ჭაბუა ამირეჯიბიც. როცა ჭაბუა გამოჩნდებოდა თბილისის ქუჩებში, ის გადასახლებიდან შინმობრუნებულ ნატანჯ, მოქანცულ პატიმარს კი არ ჰგავდა, დაუძლურებულსა და ბეჩავს, არამედ „ქართლის ცხოვრებიდან“ გადმოსულ რაინდს, მუზარადიანს და ჯაჭვის პერანგით შემოსილს. მის გარეგნობაში იგრძნობოდა საუკუნოვანი წრთობა სულისა, თუმცა, დროს თავისი დაღი დაესვა, მაგრამ მაინც მშვენიერი ვაჟკაცი იყო, მაღალი, პირხმელი, მომხიბლავი ღიმილითა და თავისი არქაული სილამაზით.

იგი იყო მხნე, უდრეკი ნების კაცი. მან განვლო ჯოჯოხეთი, ციმბირის ყინულეთი და აღმოსავლეთის ხვატი. მაგრამ ტანჯვა-წვალება მამაცურად გადაიტანა, „ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში, მაგრამ არ დამიკვნესია,“ ნათქვამია ქართულ სიმღერაში, მისი ცხოვრება იყო ბრძოლა თავისუფლებისათვის, ის დაუმორჩილებელი იყო. მისი საყვარელი აფორიზმი იქნებოდა რუსთაველთან შაირი, სადაც ნათქვამია კაცის ქმედებაზე: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“. ის მოქმედი ადამიანი იყო! და აი მრავალ ხიფათს გადარჩენილი, სიკვდილთან მრავალგზის შებმული, ბობოქარცხოვრებაგამოვლილი დაუბრუნდა სამშობლოს, უმალვე ეახლა ატოცის წმინდა გიორგის, თაყვანი სცა, შეწევნა სთხოვა და დაჯდა წერად საკუთარი ცხოვრების რომანისა. მისი გამოჩენა ქართულ ლიტერატურაში მოვლენა იყო. აქამდე ჩვენს მწერლობაში არავის არ შემოუყვანია ისეთი მონუმენტური ფიგურა, როგორიც გახლავთ დათა თუთაშხია, და არც ერთ პერსონაჟს არ უფიქრია ასე ღრმად ადამიანზე.

მთავარი მოტივი ამ რომანისა გახლავთ ზნეობა. ადამიანი, მისი არსი. ჭაბუა ამირეჯიბმა მთელი თავისი ცხოვრებისეული გამოცდილება გაატარა ღრმა ფიქრში, რათა პასუხი გაეცა ყველაზე ადამიანური კითხვისათვის, თუ რატომ ჩნდება კაცი ქვეყანაზე და თუ ჩნდება, რა არის მისი მოვალეობა, როგორი უნდა იყოს კაცი, რომ იწოდებოდეს ადამიანად! ჭაბუა ამირეჯიბმა განიცადა ცხოვრება თავისი ავ-კარგით, მან იმდენი რამ ისწავლა ცხოვრებისგან, რომ ვერავითარი ერუდიცია ვერ გაუტოლდება მისი ცოდნის სიღრმეს, ვერ გაუტოლდება ვერავითარი წიგნით მიღებული განათლება. მან ღრმად იცოდა ცხოვრებისეული სიბრძნე, ის არ ეყრდნობოდა რომელიმე ფილოსოფოსს, არ იყო არავის მიმდევარი. მას საკუთარი აზრი გააჩნდა, ცხოვრებისეული გამოცდილებით შეძენილი. გადავშალოთ მისი რომანი, ჩვენ წინ ჩაივლის მრავალი ჯურის ადამიანი, ცხოვრების ფერხულში ვინ არ ჩაბმულა, ვის არ ნახავთ აქ — აბრაგები, მომხვეჭელნი, პატიოსნები და უნამუსოები, კეთილნი და ბოროტნი, მართალნი და გაიძვერები. აი რა არის ადამიანი! გვეუბნება მწერალი, იმათი სამარცხვინო საქციელის მხილებით. არ შეიძლება არ ირწმუნო ამ მართალი კაცის შეგონებანი, რადგან გვმოძღვრავს არა ვინმე ფილისტერი, ხელში გადაშლილ სხვათა ნააზრევთა ლექსიკონით, არამედ გამყინავ პურგაში და ჯოჯოხეთურ ცეცხლში ნაწრთობი კაცი, რომელიც ვერ დააჩოქა მუხთალმა წუთისოფელმა.

მომხიბლავია ჭაბუა ამირეჯიბის ქართული. კეთილშობილ, ძველი გვარის ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი, ალბათ, ბავშვობიდანვე ისმენდა შეურყვნელ ქართულს. ამიტომ არ არის გასაკვირი მისი ენის სიწმინდე და დახვეწილობა. მას თანდაყოლილი ჰქონდა ტკბილქართული, როგორც სუნთქვა და გულისცემა, საკვირველი აქ სულ სხვაა: ამ წიგნიდან მოისმის საქართველოს ყოველი კუთხის კილოკავი, მრავალგვარი, მრავალფერი, გასაოცარი, როგორც ქართული მრავალხმიანი სიმღერა როგორი ძალით უნდა შეესისხლხორცებინა მშობლიური ენა და მისი მრავალფერი კილოკავები, რომ ამ სიშორეზე სამშობლოს მოწყვეტილს, კავკასიონის გადაღმა გადახვეწილს არ დავიწყებოდა და გულში სათუთად გადაენახა ენა და კილოკავები, მაგრამ სამშობლო სხვა რაა, თუ არა ქართული ენა? ხოლო სამშობლოს დავიწყება განა შეაძლებელია?!

აი ის ემშვიდობება თავის ლამაზ სამშობლოს, დამთავრდა ხანგრძლივი ჭიდილი სიკვდილ-სიცოცხლისა, ამოიწურა კაცთათვის დასაზღვრული ჟამი, ის დიდხანს ებრძოდა ავადმყოფობას და სიკვდილს, თუმცა, სიკვდილი დამარცხებული ჰყავდა თავისი შემოქმედებით, ხოლო უკურნებელი სენი — დათრგუნული მტკიცე ნებით. ის იყო შეუპოვარი, მას არ ჰქონდა არაფრის შიში, ერთადერთი მისი საწუხარი იყო ბედი ქართვლისა. მის ბაგეებს მოსწყდა მგზნებარე გულის ამონათქვამი, მცირე ვით დედის ჩამოქნილი წმინდა სანთელი. **„ჩვენ ობოლი ერი ვართ“**. რამდენი რამ მჟღავნდება ამ ღვთაებრივი უბრალოებით ნათქვამ სიტყვებში, ის გაფრთხილებაა შეფარვით თქმული. ჭაბუა ამირეჯიბმა დატოვა სააქაო. თავის წინაპრებს მიუვა ამოღებული მახვილით.

ჩვენ ხომ ვიცოდით და შეგუებულები ვიყავით გარდაუვალს და მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო მისი გარდაცვალების ამბავი, მაგრამ მაინც გულის შემძვრელი იყო ამ სამწუხარო ამბის გაგება, დიდმა ტკივილმა შეძრა ყველა ქართველის გული და ყოველმან პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად მოწიწებით დახარა თავი მისი სახელის წინაშე.

უფალო, უფალო, შეიწყალე ორსავ ცხოვრებასა შინა ქრისტეს მხედარი ჭაბუა ამირეჯიბი.

ელგუჯა ბერძენიშვილი

◎ ბიუჯეტი

მთავარი ფინანსისტის ოპტიმიზმი...

როცა ქვეყანას სიღარიბე ჭამს

მთელი წლის განმავლობაში არა მხოლოდ ოპოზიციის, არამედ ექსპერტების მხრიდან გამუდმებით გვესმოდა, რომ ქვეყნის ეკონომიკაში ვითარება თანდათანობით რეცესიიკენ მიდიოდა. სტაგნაცია, დევალვაცია, დეფოლტი, ბიუჯეტის გარღვევა თუ სხვა მსგავსი ტერმინები, რომელიც ასე თუ ისე გადავიწყებული ჰქონდა საზოგადოებას, კვლავ აქტიური გახდა. გადავურჩით თუ არა ეკონომიკურ კოლაფს, ამაზე მხოლოდ მომავალი წელიწადი გაგვცემს პასუხს. ნოდარ ხადურის მტკიცებით, ის გაცილებით სტაბილური იქნება. ფინანსთა მინისტრი არც ამ წლის ბიუჯეტში ხედავს საგანგაშო სიგნალებს. ამიტომაც იყო, რომ „ჰოლიდეიინში“ ქვეყნის მთავარი ფინანსისტი საკმაოდ თავდაჯერებულად და ოპტიმისტურად გამოიყურებოდა, როდესაც მან საზოგადოებას ერთი წლის მუშაობის შედეგები წარუდგინა. პრეზენტაციის ბოლოს მქუხარე ტაშიც დაიმსახურა და სახეზე ბედნიერი ღიმილი კარგა ხანს არ გაქრობია. თუმცა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ასეთივე განწყობით ხვდება თუ არა ახალ წელს, გამოსცადა თუ არა საკუთარ თავზე რეალური სიკეთეები, ამაზე პასუხი ერთმნიშვნელოვანია — ჯერჯერობით, არა!!!

თუ როგორი იყო „ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობაში მოსული ახალი გუნდის მიერ გატარებული პოლიტიკა, — ამაზე ვრცლად ისაუბრა ფინანსთა მინისტრმა **ნოდარ ხადურმა:**

„ — რთულ პერიოდში, მხოლოდ 5 დღეში, მოგვიწია უკვე ნაციონალური უმრავლესობის მიერ დაგეგმილი ბიუჯეტის შეცვლა და დავიწყეთ ყველამ იმ ვალდებულების შესრულება, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა.

შევძელით და გადავედით პროგრამულ, სტრუქტურულად სრულყოფილ ბიუჯეტზე. პირველად გაუჩნდა სახელმწიფო ბიუჯეტს დანართი, სადაც დეტალურად არის გაწერილი „სხვა ხარჯები“, რომელიც გასულ პერიოდში მილიარდ ლარს აჭარბებდა. 2014 წლის ბიუჯეტს საპარლამენტო უმრავლესობამ მხარი ერთხმად დაუჭირა. უკვე დავიწყეთ მუშაობა 2015 წლის პროექტზე. მომავალი წლის ბიუჯეტის პრობლემებს ყველა კარგად ვხედავთ, თუმცა, ის გაცილებით უკეთესი იქნება, ვიდრე 2013 წლის ბიუჯეტი იყო.

მომავალ წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი დახარჯავს 9 მილიარდ 80 მილიონ ლარს და მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენ ვუახლოვდებით იმ პარამეტრებს, რომელიც აღებული გვაქვს და რომელთა მიხედვით ხარჯები არ უნდა იყოს მთლიანი შიდა პროდუქტის 30 პროცენტზე მეტი. ჩვენდა სამწუხაროდ, წელს ნაცვლად დაგეგმილი 6 პროცენტისა, ეკონომიკური ზრდა 2,5 პროცენტის პარამეტზე იქნება. თუმცა, ოქტომბერ-ნოემბერში შეინიშნებოდა გამოცოცხლება. ჯერ არა გვაქვს შპს-ს შეფასებითი მაჩვენებელი, მაგრამ გვაქვს დღგ-ს გადამხდელი საწარმოების ბრუნვა. წელს ოქტომბრამდე ყოველთვის უარყოფითი იყო ეს მაჩვენებელი, მაგრამ ოქტომბერში 5,9 პროცენტი შეადგინა, ხოლო ნოემბერში — 14,4 პროცენტი. ვფიქრობ, რომ ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია. აქვე ვიტყვი, რომ გამოცოცხლდა მშენებლობა, რასაც ისიც ადასტურებს, რომ ნოემბერში გაზრდილია სამშენებლო მასალების იმპორტი... ანუ ეკონომიკა სტრუქტურულად იცვლება და თუ წინა წლებში ეკონომიკური ზრდა მიღწეული იყო მათრახის პრინციპით, ჩვენი აზრით, ახლა მთავარი გამწევი ძალა უნდა იყოს თავისუფალი ბიზნესი.

მაკროეკონომიკურ პარამეტრებს თუ გადავხედავთ, რეალურად 2011 წლის ზაფხულიდან ინფლაცია ჯერ იყო სტაბილური, შემდეგ — დაბალი, შემდეგ — ხშირ შემთხვევაში უარყოფითი, ანუ ადგილი ჰქონდა დეფლაციას.

იმედი გვაქვს, რომ მომავალი წლის განმავლობაში მთლიანი შიგა პროდუქტის დეფლატორი 3,5 პროცენტი იქნება, რაც ვფიქრობ, კარგი სტიმული იქნება ეკონომიკის განვითარებისთვისაც. რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტორებს, სამწუხაროდ, ავადსახსენებელი კოჰაბიტაციისა და გაურკვევლობის გამო, I კვარტალში გვქონდა კლება, მაგრამ II კვარტალიდან უკვე დაიწყო უცხოური ინვესტიციების ზრდა და 9 თვის მონაცემებით საქართველოში 20 მილიონი დოლარით მეტი ინვესტიცია განხორციელდა წელს, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. იმედია, მომავალ წელს კიდევ უფრო გაიზრდება. სამწუხაროდ, საქართველოს შიდა დაზოგვა საკმარისი არ არის რესურსების სერიოზული ინვესტიციებისთვის, ამიტომ გვიწევს უცხოურ ინვესტიციებზე აქცენტის გადატანა.

და საგარეო ვალი. ჩვენი ოპონენტები ბოლო პერიოდში მასზე ძალიან ბევრს საუბრობენ. განსაკუთრებით იმაზე, რომ 2014 წელს ბევრ ვალს იღებს მთავრობა, მაგრამ...

იხ. 4 გვ.

◎ ალიან-ჩალიანი

2013 წლის მარტში გიგი უგულავას საბელეფონო ხარჯმა... 38 ათასი ლარი შეადგინა

ამის შესახებ თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ქავთარაძემ საკრებულოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

სარევიზიო კომისიამ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საქმიანობის შესწავლისას სერიოზული დარღვევები გამოავლინა. კომისიის ინფორმაციით, ქალაქის მერმა 2013 წლის 14 მაისს გამოცემული განკარგულებით, თავის თავს დაუნიშნა ყოველთვიურად დანამატი 4.320 ლარი, ანუ თანამდებობრივი სარგოს 135%.

სარევიზიო კომისიაში განმარტავენ, რომ თბილისის მერის განკარგულების მეორე მუხლის მიხედვით, დანამატი უნდა გაიცეს დარიცხული ხელფასის პროპორციულად.

— განკარგულებაში არ არის დაფიქსირებული მისი ძალაში შესვლის პერიოდი, შესაბამისად, ის ძალაში შესულად ითვლება 2013 წლის 17 იანვრიდან და დარიცხვაც უნდა მომხდარიყო 2013 წლის 17 იანვრიდან, დარიცხული ხელფასების პროპორციულად. მიუხედავად ამისა, იანვარში დანამატის დარიცხვა განხორციელებულია სრულ თვეზე და შეადგენს 258.099 ლარს, ხოლო, ფაქტობრივად, დარიცხვა უნდა განხორციელებულიყო 17 იანვრის შემდეგ დარიცხული ხელფასის პროპორციულად, რაც ამ შემთხვევაში შეადგენს 129.050 ლარს, შესაბამისად, დარჩენილი 129.049 ლარი დარიცხულია და გაცემულია საფუძვლის გარეშე, უკანონოდ, — განმარტავენ სარევიზიო კომისიაში.

ამასთან, როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ქავთარაძემ აღნიშნა, 2012 წლის იანვრიდან 2013 წლის ივლისამდე შრომის ანაზღაურებაზე მერიის მიერ დახარჯულია 14.552.873 ლარი, აქედან ხელფასებზე — 4.284.610 ლარი, თანამდებობრივ სარგოზე — 1.507.132 ლარი, ხოლო პრემიებზე — 8.761.131 ლარი.

ინტერპრესი

ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲛᲐ ᲰᲐᲔᲠᲨᲘ ᲛᲝᲮᲡᲜᲐ, ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚ ᲙᲐᲠᲡ ᲛᲘᲚᲛᲐ ᲓᲐᲘᲭᲜᲘᲔᲡ

ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ისეთი დროება გვიდგას, „დათა თუთაშხიაში“ რომ არის აღწერილი. დათა და ნიკიფორე ბუბუტეიშვილი ფოთელ მევახშე კაჯა ბულავას ძარცვავენ. ის კი თავდამსხმელთა მოსაგერიებლად, უტყუარ და ნაცად ხერხს მიმართავს — შვილებს მოუხმობს.

„— გოჯაბა, ცაბუ, ბიკი, კიკუ, ციცუ, დომენტი! წაიღეს ჩვენი თამასუქები ყაჩაღებმა, ვაა-ვა, შვილებო, ვაა-ვა!

გამოსხდნენ შვილები შაშვის ბარტყებივით, აკივლდნენ — გაძვალტყავებულები, ყვითლები. იქ ამბავი დატრიალდა — გატრეტილი, მთვრალი სურებლები რომ ხასანბეგურას იტყვიან — ისეთი. გავფუჭდით ყაზახები“.

სულ ბოლოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის დირექტორი გიორგი უშიკიშვილი ჩამოაგდეს ქანდარიდან და „რუსთავი-2“-მა, კაჯა ბულავას ნაცმოძური ჩაწოდებით, უმალ ააკივლა გოჯაბა, ცაბუ, ბიკი, კიკუ, ციცუ და დომენტი... ამ სკამსჩაფრენილი, ლოგიკურ აზროვნებაზე მწყრალად მყოფი, ცუდი ენის მქონე კაცის თანამდებობიდან გათავისუფლება ლამის ერის ტრაგედიად იქცა. გაზეთები ვიშვიშებენ, ტელევიზიები გმინავენ, ანუგეშებენ, მტრების ძებნაში ეხმარებიან. ეს საქმე „მარტო“ ანზორ ერქომაიშვილისა და ჯემალ ჭკუასელის მიერ დაგებულ ხაფანგად კი არ მოინათლა, მგონი სულაც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს უდევს წილი ამ „ნაციონალური მოძრაობის არაადამიანურ, შემზარავ დევნაში“, და არის ერთი ღავღავი.

თუ უშიკიშვილის ჩაგვრის ექო, ასე თუ ისე, ქვეყნის ფარგლებს ჯერ არ გასცილებია, აი საკნიდან ვანო მერაბიშვილის საიდუმლო, ტერორისტული გაყვანა, თანაც თვალახვეულად და ქვეყნის მთავარ პროკურორთან წარდგენა ბილწ საქმეებზე დასათანხმებლად, უკვე მთელმა კაცობრიობამ შეიტყო და, ალბათ, მალე თავს დაგვატყდება დასავლელი ჰუმანისტების აღშფოთების საპროტესტო ტალღა, მთავარი პროკურორის მიერ ვანოს „კაჩაობა“ გოჯაბა გაბაშვილის, ცაბუ ბოკუჩავას, კიკუ ნადირაშვილის, ბიკი წიკლაურის, ციცუ თაქთაქიშვილის, დომენტი ვაშაკიძის წიკვინით მთელ მსოფლიოს ემცნო გესტაპოელებსაც რომ არ ჩაუდენიათ ისეთი ამბავი, როგორც საქართველოში დემოკრატიის მზაკვრული ხელყოფის, მისი მზის ჩასვენების თვალნათლივი ნიშანი.

ვანო ნაცმოძრაობის სასინჯ ქვად იქცა. გაიმარჯვებს ვანო, გაიმარჯვებენ მისი ყოვლად უმანკო პარტიული ძმები, წააგებს ვანო, წააგებს სრულიად საქართველო. ამიტომ საკმარისია, უენო ვანომ პირი გააღოს, რომ კაჯა ბულავას ნიშანზე უმალ აყმუვლდებიან, აჩხავლდებიან, აწიწინდებიან გოჯაბა და ძმანი და დანი მისი.

ახლა ახალი საღეჭი თემა გამოიკვეთა — გიგი უგულავას ამბავი, ანუ თბილისის მერის სავარაუდო ჩაყუდება ვირის აბანოში, კონკრეტული ეკონომიკური დანაშაულების გამო. ეს საქმე პირდაპირ უსურვაზივით გადაეწნა ვანოს უკუღმართ საქმეს და იმედია, მძლევრ პოლიტიკურ ქარბორბალად იქცევა.

დღეს, როგორც გინდა თქვი და, დეკორატიაა, დღეს ადამიანებს ენა-პირი გახსნილი აქვთ და სიმართლეს თუ ვიტყვით, — არა მარტო გახსნილი, არამედ სულაც შარაზე გამოდებული. კაცს აზრი ჯერ თავში არ აქვს დალაგებული, რომ უკვე ენას ატყლაშუნებს. ბრალდებები, დასმენები...

გიგი უგულავა სულ ღიმილ-ღიმილით არიგებს ინტერვიუებს, აქაოდა, არ მეშინია, არაო, მელა მატყუარაო, მაგრამ მაინც ვერ მალავს, რომ სული კოჭებში ეპარება დაჭერის შიშით. გახსოვთ, თავიდან ვანოც ასე „ლაღობდა“, მაგრამ მერე დაედო მგლის ფერი. რაც უფრო მეტად არ იმჩნევს შიშს ჩვენი სტიქაროსან-კმარელი მერი, უფრო რწმუნდები, რომ 40 მილიონამდე (მგონი, სულაც 70 მილიონამდე) ლარის გაიმასქნების ბრალდება მხოლოდ პოლიტიკური დევნის შედეგი არ უნდა იყოს.

შაბათ ღამეს თბილისის საქალაქო სასამართლომ თბილისის მერს ყელი გამოსჭრა — უფლებამოსილება შეუჩერა. გიგიმ ტელევიზიით გამოსვლისას თავის მყისიერ ჩამოლაბორანტებას ისტორიული ანალოგი მოუძებნა: ერთი სტალინმა მოხსნა გერმანიიდან მოსკოვს მიმფრინავი მოლოტოვი და მეორე მე დამიქნია სასამართლომ საქმის განუხილავადო (იმას თუ გულისხმობდა, სტალინმა ჰაერშივე რომ გაათავისუფალა თავისი საგარეო საქმეთა მინისტრი და ამით მისი ხელმოწერილი არასასურველი ხელშეკრულების დეზავუირება მოახდინა).

ყველას ტიკი-ტომარა ჭიაბერაშვილმა კი ისეთივე ბრძნული კომენტარი გაუკეთა ამ ფაქტს, როგორც თავის დროზე ქართვლის დედის ძეგლს (ხმალი და ფიალა კი არა, ფალოსი და საშო უჭირავსო) — საქართველოში ჭორვილის დიქტატურა დაიწყოო.

(ნეტა ერთი ისეთი დიქტატურა დაიწყებოდეს, ასეთ მართლა ჭიაღუა მოღვაწეებს ერთხელ და სამუდამოდ ამოშლიდეს რანგთა ტაბლიდან!).

ხელისუფლება თანდათან, დაბეჯითებით იკვლევს გამქრალ თანხებს, ხან ერთ, ხან მეორე ბობოლა ნაცს იბარებს დაკითხვაზე და პოლიტიკური დევნისთვის ნაკლებად სცხელა. არადა, ეკონომიკური დანაშაულის გარდა, საკვლევი სხვაც ბევრია.

აი, დაიბარეს პროკურატურაში გიორგი ღვინიაშვილი და კახა ბუცხრიკიძე და ახალი პოლიტიკური დევნის ბრალდება დაიტეხეს თავს. მაგრამ, როგორც ჩანს, პროკურატურაში ნაკლებად აღელვებთ „რას იტყვის ხალხი“, ამ შემთხვევაში, ოპოზიცია.

მაგალითად, ღვინიაშვილი აცხადებს, რომ საქმე ეხება გირგვლიანის მკვლელობას, რაც ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკურ ოპონენტზე ახალი შეტევის ტალღის ნაწილია. როგორ და რანაირად?

გიორგი ღვინიაშვილი 2002-2003 წლებში იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი იყო, 2004-2008 წლებში მუშაობდა უშიშროების სამინისტროში, პროკურატურაში, თბილისის პროკურორად. ახლა კი ყინჩად აცხადებს, მე არ მჯერა პროკურატურის მიერ ნაწარმოები გამოძიებისო.

კახა ბუცხრიკიძეს, რომელიც ერთ დროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გახლდათ, იმ პერიოდში საპატიმრო დაწესებულებებიდან მსჯავრდებულთა უკანონო გაყვანა და მათთვის კანონით აკრძალული შეღავათების გაწევას ედავებიან. ალბათ, ეს გაყვანები და შეღავათები მაშინ ისე ყვიროდა, რომ ექო წლების შემდეგ მისწვდა დღევანდელ პროკურატურას და მეშეღავათისთვის მოაცლევინა.

ყველაფრის პოლიტიკურ ანგარიშსწორებად მომნათვლელი ნაცმოძრაობა იქამდეც კი მივიდა, რომ სოსო ჯაჭვლიანის მიერ გია ბარამიძისთვის წიხლის ჩარტყმა იქ, საიდანაც ფეხები იზრდება, სრულიად ნაცმოძელთა ფიზიკურ დევნად გამოაცხადა და დეპუტატ ჯაჭვლიანის დასჯა მოითხოვა.

საინტერესოა, სატისფაქციის რა ზომას და ფორმას ხედავენ ძილში და ღვიძილში? ისე, „ნაციონალური მოძრაობის“ ამ მოთხოვნაზე ის ფაქტები უნდა ამოიწიოს, რომლებიც მანამდე სხვადასხვა დროს უხვად მოხდა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, ოღონდ მაშინ დაზარალებულები ყოველთვის ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ.

ეს დღეს არავის აღარ ახსოვს, სამაგიეროდ, როგორც ირკვევა, გიგა ბოკერია და მისი დასტა უკვე შეხვდნენ საქართველოში აკრედიტებულ უცხოელ დიპლომატებს და მთავარი პროკურორის გადაყენებაში დახმარება ითხოვეს.

ნაციონალები ხმაურობენ და ამ ხმაურით ერთმანეთს აგულიანებენ. მათ ფუყე იმედებს საზღვარგარეთ მოროჭიკე მიხეილ სააკაშვილიც უმატებს სახმილს, რომელიც გულის სიღრმეში საქართველოში დაბრუნებას და პოლიტიკური ცხოვრების გაგრძელებას იმედოვნებს. აკი შემოთვალა ნიუ-იორკიდან, ამერიკაში საქართველოს რეფორმებზე ვმუშაობო. და აი, მიშაზე ჭიპმოყრილ ნაცმოელებს გულში იმედი უფაჩუნებთ, რომ დასავლეთმა შეიძლება სააკაშვილი ახალი მისიით გამოგზავნოს, როგორც პროდასავლური იდეებისთვის მებრძოლი ლიდერი მთლიანად სამხრეთ კავკასიისათვის.

ტელევიზიით დროდადრო გაიგონებთ გოჯაბას, კიკუს, ციცუს... თუ დომენტის მუქარას „ჩვენ დავბრუნდებითო“, ან უფრო ომახიანად, „ჩვენ ოთხ წელიწადს ვერ მოვითმენთო“. ეს უკანასკნელი მუქარა-ლოზუნგი, უფრო იარაღით დაჩქარებულად დაბრუნებას უნდა ვარაუდობდეს. ჰოდა, ასეა, თუ ისე, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. რა იცი, რა მზაკვრობა, მზადდება ოკეანის გაღმა-გამოღმა მიმოფანტულ ყოფილ ხელისუფალთა და მათი დასავლელი ოსტატების საიდუმლო ბუნაგებში.

ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ ᲙᲐᲙᲐᲚ ᲒᲣᲚᲨᲘ

ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘ

● სევდია მერად, ბულანოვა საკრებულოს თავმჯდომარედ! მერე თითო ცრემლის ტატუც გავიკეთოთ და სნოვიმგოდომ.

● ღამის პირველ საათზე რო ჩვენს მიერ არჩეულ მერს გადააყენებენ, დილით რას გვიზამენ? გამოფხიზლდით ხალხო!

● ბრეივიკი რო ნაციონალი ყოფილიყო, დალი მეტრეველი, ნორვეგიის შრომის პარტიის ახალგაზრდული ბანაკის მყუდროების დარღვევისთვის დააჯარიმებდა.

● სანამ მარხვა არ დამთავრდება ვერც ერთ .....-ს ვერ დავიჭერთო (ხორცს არ ეკარებიან) ნუ რა გჭიირთ?! საიდან მოუყვანოთ ესლა ამათ სოიოს უგულავა?

● ხათრიანი საქართველო!

არადა, ერთხელ, ბავშვობაში წავიკითხე, თურმე ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ყოფილა.

● ხათრით მერსაც ავირჩევთ, აბა რას ვიზამთ. ჩვენ ხომ ერთი ფოთოლიც არ ჩამოგვიგდია!

● რა ელის გიგი უგულავას?

აქ მიდის კამათი. ზოგი ამბობს ცოცხს არ მოაკლებენო, ზოგი — სანამ მიშა მოვა, ვანო შმუთავსო დ.ა.შ.

კაით რა! არც დაგასლოკინოთ!

არავინ დაიჭერს (დამჭერები რომ ყოფილიყვნენ, გიგის და სხვებსაც დაიჭერდნენ და არა სხვა რაღაცას). ეტა რაზ!

კაია ოცნება.

ეტა დვა!

● თბილისის მერობაზე რომ წარვადგინო ჩემი კანდიდატურა და ანდრეს ფოგ რასმუსენის ვიზიტის დროს პროსტო პლანი რო მოვწიო, დამიჭერენ?

● ევროკავშირთან ინტეგრაცია — ახლა უკვე ჟოლოს არომატი!

● მერს და იმ ვილაცა მეტრეველს რო თავი დავანებოთ (დროებით რა თქმა უნდა) და ნამდვილ უბედურებას, ანუ გაცუდებულ ოცნებას რო მივხედოთ, არა? თოვლის ბაბუავ, дед мороз, santa claus, ვუცლი პუცლი დ.ა.შ ვინც ხართ, ერთი პატარა ოცნება აგვიხდინეთ და ამ სკამებზე, ჯიპებზე, მაყუთზე დახარბებული ნაბ.....-ი მოგვაშორეთ. გთხოოოოოოვ!!!

მარტო მაგათი იმედი დამრჩა. ეჰ, გადავვარდი ბავშვობაში.

ᲐᲛᲝᲙᲠᲘᲑᲐ
ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

◎ ᲐᲚᲘᲐᲜ-ᲩᲐᲚᲘᲐᲜᲘ

„ᲘᲛᲔᲓᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲠᲘᲧᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲡᲮᲕᲘᲡᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ-ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲘᲧᲝᲤᲐ

ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ გადაწყვეტილება მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ მიიღო, რითაც არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა გიგი უგულავას საქმისა და დავით კეზერაშვილის ბრალდების საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ.

ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲣᲐᲛᲓᲒᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐ�პᲐᲡᲣᲮᲝᲓ, დავით კეზერაშვილის ადვოკატმა შოთა მინდელმა წარმოადგინა კეზერაშვილის პოზიციაა, რომ მას სურს საქმეები გაგრძელდეს ჩვეულებრივ, როგორც დღემდე მიმდინარეობდა, რაც საფუძველი გახდა იმის, რომ სასამართლოს დაცვის მხარის ეს პოზიცია დაეკმაყოფილებინა. შესაბამისად, გიგი უგულავასა და დავით კეზერაშვილის საქმეების წარმოება ერთად გაგრძელდება.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

„პაჭანიგები“

საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა!..

მუხრან მაჭავარიანი

გიგი უგულავას ყელყელაობამ და უტიფრობამ გამაოცა.

გასული შაბათ-კვირის მოვლენებს ვგულისხმობ.

70 მილიონამდე ლარის გაქრობისთვის ბრალი წაუყენეს, ის კი უცოდველი კრავივით თავს გვაცოდებს და თბილისელებს გაღმა ედავება, როგორ გამიბედეს, მილიონნახევრიან ქალაქში 55 პროცენტით არჩეულ მერს უფლებამოსილებას მიჩერებენო.

50 000-იანი გირაოთი დროებით გათავისუფლებას მაინც და მაინც არ აპროტესტებს, მერიის თანამშრომლები და მეგობრები შემიგროვებენ და გადავიხდიო.

დედაქალაქის „მთავრობის“ სხდომას სასწრაფოდ იწვევს და ცოტა ნირშეცვლილი, გატეხილი და შეშინებული ამბობს: ჩემი კოლეგები ყველაფერს გაკეთებენ იმისთვის, რომ თბილისის აღმშენებლობა არ შეჩერდეს და მნიშვნელოვანი პროექტები ბოლომდე მივიდეს!

მერე, უტიფრად მოყელყელავე მერი ბიძინა ივანიშვილს, კოალიცია ქართულ ოცნებას, ახალ პრემიერ-მინისტრს და თბილისის საკრებულოს უმრავლესობას ლანძღავს, სასამართლოს გადაწყვეტილებას პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უწოდებს და ნაციონალურ მოძრაობაზე „ოცნების“ ფართომასშტაბიანი თავდასხმის ახალ ტალღას ვარაუდობს...

არც ნაცმოძრაობიდან ოცნებაში გადაბარგებულ კონკრეტულ პირებს ივიწყებს და ზიზღით, სარკაზმით იხსენებს მათ. „მოღალატე“ ნაციონალთა სიას სათავეში „პაჭანიგი“ ნიკო ხაჩირიშვილი უდგას, მოსამართლე მეტრეველზე ზეწოლა კი შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექციის უფროსმა ჯანყარაშვილმა ღამის პირველ საათზე განახორციელაო...

გიგი უგულავა ტიპური მიშისტია — მოურიდებელი, არაადეკვატური, ამბიციური და გამაოგნებელი ტყუილებით გამორჩეული.

ვითომ არ იცის „პატივცემულმა გიგიმ“, რომ მისი მერობის 9 წლის განმავლობაში თბილისის და თბილისელთათვის განკუთვნილი ბიუჯეტიდან მილიონობით ლარი დაიხარჯა მიშნაცების გასამდიდრებლად და გასალაღებლად, ამ მოძალადე, ანტიეროვნული პარტიის მხარდამჭერთა მოსასყიდად თუ მოსაქრთამავად, უაზრო მივლინებებისა და მოწვეული პიარ-მენეჯერების დასაფინანსებლად, სამარცხვინო კონცერტებისა და ანტიეროვნული ღონისძიებების გასამართავად...

რიყის ტერიტორიის მრავალჯერადი შესყიდვა-გამოსყიდვის „საიდუმლოებით“ მოცული ფაქტები და ხალხისთვის წყალში გადაყრილი მილიონები ხომ ხელის გულზე უდევს გამოძიებას...

ან სად გაექცევიან მატყუარა მერი და მისი ზონდერ-ბრიგადები იმ თბილისელ პედაგოგებს, რომლებსაც რესტორნებში უწყობდნენ შეხვედრებს და „საზეიმო პატივგების“ პარალელურად აშანტაჟებდნენ, თუ ხმას არ მოგვცემთ სამსახურებიდან გაგყრითო!..

უკვე ისიც არ „ახსოვს“ გიგი უგულავას, რომ 2012 წლის 1 ოქტომბერს მართლაც „საოცნებო“ დამაჯერებლობით წააგო არჩევნები დედაქალაქის ათივე რაიონში...

თუმცაღა, ამ ახალგაზრდა კაცის ტრაგედია, ასე თუ ისე, მაინც გასაგებია, რადგანაც ნაციონალური მოძრაობის და პირადად მიხეილ სააკაშვილის ზნეობრივ-პოლიტიკური სიბინძურის ჭაობში ის ბოლომდე ჩაეფლო და ახლა ამ ჭაობის ნაპირზე ხავსს ეჭიდება. იცის, რომ არაფერი გამოუვა, მაგრამ მაინც ცდილობს, „ვაჟკაცურად“ შეხვდეს განაჩენს, თანაც, ასე გაღმა შედავებით, შავი დღისთვის გადანახულ ერთ-ორ მილიონს, ვითარცა ერთ-ორ თეთრს, უფრო შეინარჩუნებს...

მიშასგან იცის, ბოლომდე უნდა იყვიროს, უდანაშაულო და მაგარი ვარო!

* * *

უგულავას სამართლებრივი გაწეწვის ფაქტს მოულოდნელი აღშფოთებით, აშკარად გადაჭარბებული ემოციით შეხვდა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი, ერთ დროს ცნობილი მოაზროვნე და მწიგნობარი დავით ბაქრაძე...

მაინც რა საზიზღრობა ყოფილა ეს პოლიტიკა და ნაციონალების პარტიული სიის პირველკაცობა... ხომ იქნებოდა ახლა რობოტი დავით ბაქრაძე მოაზროვნეთა კლუბის ერთ-ერთი მშვენება და იქნებ, ბროლის ბუსთან ერთად, თავის მოგვარე გიორგივით მაგისტრის წოდებისთვისაც გამოეკრა ხელი...

პარლამენტის თავმჯდომარეობიდან „გადაყირავების“ და საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილზე გასვლის შემდეგ დავით ბაქრაძემ ერთმნიშვნელოვნად უმატა ცინიკურ ღიმილს და დემაგოგიურ ლაყბობას. გიგი უგულავას და ნაციონალური მოძრაობის დასაცავად მისი საკვირაო კომენტარები არაფრით ჩამოუვარდებოდა ნაცების ჩამოწერილი ბელადის მიხეილ სააკაშვილის ადრინდელ ამაზრზენ გამოსვლებს „შევარდნაძის უნიფიცირებული გვამების ხელისუფლებაში მოსვლის“, „მახინჯი, ჯოჯო, უბადრუკი ოცნებელების“, „უკბილო პროკურორების“, „ივანიშვილის და ღარიბაშვილის პირადი პატიმრების“ შესახებ...

უმცირესობის თავკაცმა კიდევ ერთხელ დაგვზაფრა, რომ ნაციონალური მოძრაობა მუშაობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადადის და ვაი თქვენი ბრალიო!

აქვე, ბარემ, დავით ბაქრაძის მონოტონურ, ერთობ მოსაწყენ ლაყბობას დავუმატოთ ზურაბ ჭიაბერაშვილის, გიორგი ვაშაძის, აკო მინაშვილის, გოკა გაბაშვილის, ზურაბ ჯაფარიძის, ირმა ნადირაშვილის, ჩიორა თაქთაქიშვილის, ნუგზარ წიკლაურის და მათ მსგავსთა შეფასებები უსამართლო, უნიათო მთავრობის, ბოლო ერთ წელიწადში დაქცეულ-განადგურებული ქვეყნის შესახებ და ადვილად წარმოვიდგენთ, რა საშინელი შაბათ-კვირა გვქონია ოცნების მხარდამჭერებს, ანუ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას.

ერთობ სასაცილო პერსონამ, „ყურებჩამოყრილმა ბულდოგმა“ ზურაბ ჭიაბერაშვილმა მთლად მომაკვდინებელი შეფასებით დაგვზაფრა: **„ჩვენ ჭორვილის დიქტატურის გამარჯვებას არ დავუშვებთ!“**

* * *

ამას წინათ ვწერდი, რომ მიშნაცები არსად წასულან და უცხოელი რეჟისორების მხარდაჭერით ახალი შეტევისთვის ემზადებიან-მეთქი. გიგი უგულავას „საგმირო საქმეებთან“ დაკავშირებით ატეხილი ნაციონალური წივილ-კივილი და ბაძიბუძი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ უფრო ფხიზლად, უფრო ფრთხილად უნდა ვიყოთ და სერიოზულად ვიფიქროთ ნაციონალური შავი ჭირის საბოლოო მოშთობისთვის.

ეს მხოლოდ ხალხს შეუძლია!

საქმე გაცილებით უფრო ცუდადაა, ვიდრე ბევრს ჰგონია. ნაციონალი პაჭანიგები არავის აცლიან ქვეყნის აშენებას! კოჰაბიტაცია, რის კოჰაბიტაცია!..

სპარტაკ ქოგულია

◎ ბიუჯეტი

მთავარი ფინანსისტის ოპტიმიზმი...

(მესამე ბვერდიდან) 2014 წელს ჩვენ ვაპირებთ, გადავიხადოთ უფრო მეტი (33 მილიონით მეტი), ვიდრე ავიღებთ. მათ შორის 200 მილიონი იქნება სახაზინო ვალდებულებებით მობილიზებული თანხა, რომელიც განთავსდება საქართველოს კომერციულ საბანკო დაწესებულებებში. ამაზე ჩვენ სერიოზულად ვიმუშავებთ, რათა ბანკებმა გააქტიურონ ინვესტიციური სესხების გაცემა. **2013 და 2014 წლებში საქართველოს ბიუჯეტს უწევს ერთი მილიარდი დოლარის საგარეო ვალის მომსახურება, რაც ძალიან მძიმე ტვირთად გვაწევს. ეს წლები აღმოჩნდა პიკი, შემდეგი პიკი იქნება 2021 წელს, როდესაც მოგვიწევს 500 მილიონი დოლარის ევროობლიგაციების მომსახურება. ერთიც მინდა აღვნიშნო, 500 მილიონი დოლარის ევროობლიგაციების მომსახურებისთვის, რომელიც წინა ხელისუფლებამ აიღო, ამ პერიოდში მოგვიწევს დამატებით 500 მილიონი დოლარის გადახდა, ანუ სახელმწიფოს ეს „სიამოვნება“ ერთი მილიარდი დოლარი უზის. მიმდინარე კვირაში 14 მილიონ დოლარს გადავიხდით ევროობლიგაციების მომსახურებაში.**

მომავალ წელს მთლიანი ვალი 35,5 პროცენტი იქნება მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებაში, ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალი 27,6 პროცენტი. ასე რომ, მომავალ წელს მოვემსახურებით ვალს, თუმცა, უაზროდ მეტად აღარ გავზრდით. 9,7 პროცენტი გვიწევს გადავიხადოთ ვალის სახით შემოსავლებიდან, მაშინ როცა წინა პერიოდში 2-3 პროცენტს არ აღემატებოდა ხოლმე.

ჩინოვნიკთა ფანჯრებიდან დანახული?

— ეს მხოლოდ ერთგვარი ჟესტი იყო. 2013 წელს გარდატეხა არ მოხდა, ამდენად, 2014 წელი ამ მიმართულებით შედარებით იმედისმომცემია. მთავარია, შეიქმნას სამუშაო ადგილები და მოხდეს ეკონომიკური ზრდა. ამის ნიშნები უნდა გამოიკვეთოს წლის I ნახევარშივე. ამ ამოცანას ინისტროს მიერ ინიცირებული ცვლილებები კოდექსში, რომელიც მიმართულია სამართლიანი და ეფექტიანი ადმინისტრირებისთვის.

ანგარიშის წარდგენას ესწრებორდნენ ექსპერტები, მთავრობის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსი, მასმედია და სხვა. ჩვენ კომენტარი ვთხოვეთ ექსპერტ **დემურ გიორგელიძეს,** რომელიც ფინანსთა მინისტრის მრჩეველთა საბჭოს წევრია, თუმცა, ბოლო დროს მთავრობის მიმართ განსაკუთრებული კრიტიკით გამოირჩევა ხოლმე.

— ბატონო დემურ, რამდენად იმსახურებდა ფინანსთა მინისტრი და მისი წარმოდგენილი ეკონომიკური პოლიტიკა მქუხარე ოვაციებს, როცა გარეთ დარჩენილი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის რეალობა გაცილებით მძიმეა, ვიდრე ეი, ასეთი მძიმე მემკვიდრეობა დაგვხვდა. ვალები აღებული აქვთ რკინიგზას, ნავთობისა და გაზის კორპორაციას“.

ხადურმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ამ წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებად რჩება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სფეროები. კვლავ ძალაში რჩება ფინანსთა სამი-

უნდა დაექვემდებაროს ყველაფერი, ყველა სხვა მაჩვენებელი მეორეხარისხოვანია. სიმართლე გითხრათ, ძალიან რთული პროცესია, აქედან ნელ-ნელა გამოდის ქვეყანა. მთავრობაც ყალიბდება და ერთიანი სტრატეგიის ფარგლებში იწყებს მოქმედებას, რაც წინა წელს ნამდვილად არ შეინიშნებოდა. კრიზისულ სიტუაციებში ცალკეული კარგი მინისტრების ქმედებები ეფექტს არ ტოვებს ხოლმე. მთავარია, რომ 2014 წელს მთავრობის პოლიტიკა პროგნოზირებადი გახდეს. გაჩნდეს განცდა, რომ ამ ქვეყანაში ბიზნესის კეთება შეიძლება. მე მგონი, ჩვენ გვაქვს მაინც კარგის მოლოდინის საფუძველი. წინაალმდეგ შემთხვევაში მთავრობა განწირულია. ქვეყანაში ცხოვრების მძიმე პირობებია, არ არის საკმარისი სამუშაო ადგილები, ადამიანებს არა აქვთ შემოსავლები, ქვეყანას სიღარიბე ჭამს. ბუნებრივია, ის მოლოდინი, რაც საზოგადოებას ჰქონდა და ჯერ კიდევ აქვს, რეალიზებული უნდა იყოს, თორემ მუდმივად მოლოდინი აღარ გაგრძელდება, ადამიანები სასოწარკვეთილები დარჩებიან და მოხდება კვლავ გადაფასება. ამიტომ შედეგია საჭირო.

— ლარის კურსის თამაში და წინასაახალწლოდ გაძვირებული პროდუქცია რითი არის გამოწვეული, რაზეც მინისტრს არ უსაუბრია, თუმცა, მოსახლეობას ძალიან აწუხებს?

— ეს ყველას აწუხებს. როცა დადებითი არაფერი ხდება ეკონომიკაში, ლარის კურსის ცვლილება სპეკულაციურ მიზნებს უკავშირდება. ქვეყნიდან ფული გადიოდა, ბოლო კვარტალში გავიდა 312 მილიონი ამერიკული დოლარი, წლის განმავლობაში გავიდა 600 მილიონი ამერიკული დოლარი. მაშინ, როდესაც პირიქით, ქვეყანას სჭირდება უზარმაზარი რაოდენობის ფულის შემოდინება.

— რამ განაპირობა ფულის გადინება ქვეყნიდან, თქვენი აზრით?

— ამის მცდელობები მიდიოდა წინა ხელისუფლების მხრიდან, რათა რაც შეიძლება რთულად ყოფილიყო ვითარება. ფულს ისინი ფლობდნენ, თორემ მე ან თქვენ ქვეყნიდან გასატანი ფული არა გვაქვს. დოლარზე სპეკულაციური მოთხოვნა გაჩნდა. ამავე დროს, არც ის უნდა დაგვიწყდეს, რომ წინა მთავრობის დროს დოლარზე ლარი ხელოვნურად იყო მიბმული. ფულის მიწოდება ხელოვნურად იყო შეკავებული. ეს ფული დღესაც აკლია ეკონომიკას და „ფულის შიმშილია“. ფინანსები ხელმიუწვდომელია. სწორედ ეს ფინანსური ხელმისაწვდომობა უნდა შეიქმნას. ფული აქვს მხოლოდ საბანკო სექტორს, რომელიც თავის თავს ემსახურება... მოკლედ, პრობლემა უამრავია.

— და ბოლოს, შეიძლება თუ არა რაიმე იმედის დამყარება თანადაფინანსების საპარტნიორო ფონდზე, რომელზეც ბიძინა ივანიშვილი ერთობ ოპტიმისტურად საუბრობდა?

— არ ვფიქრობ, რომ ის რაიმე არსებით ფონდს წარმოადგენს. იქ არის კერძო ადამიანების ფული, რეგისტრირებულია სადღაც ოფშორულ ზონაში. მთავარია, არა ეს ფონდი, არამედ ისეთი გარემოს შექმნა, რომ ბევრი ასეთი ფონდი დაფუძნდეს. როგორ შეიძლება რაღაც თანადაფინანსების ფონდზე იყოს მიბმული ქვეყნის განვითარების პერსპექტივა. გამორიცხულია! ეს არ არის ისეთი ფონდი, რომელზეც შეიძლება რაიმე სერიოზული გათვლის გაკეთება.

თეა მოსია



თუ სამართლიანობა არ აღდგა, პოლიტიკური ფიასკო გარდუვალია

„ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, ერთ წელზე ოდნავ მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვალა. როგორ შეაფასებდით 2013 წელს საშინაო პოლიტიკაში განვითარებულ პროცესებსა და „ქართული ოცნების“ მთავრობისა და პარლამენტის საქმიანობას? როგორი იყო მთელი გასული წელი და რას შეიძლება ნიშნავდეს უკანასკნელი დღეების ხმაურიანი განცხადებები?

– ალბათ, არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ განვლილი ერთწლიანი პერიოდი, პოლიტიკური თვალსაზრისით, უაღრესად რთული და უჩვეულო იყო როგორც ხელისუფლებისთვის, ისე – ჩვენი საზოგადოებისთვისაც.

„უჩვეულობა“ განაპირობა იმან, რომ არჩევნებში დამარცხებულმა პოლიტიკურმა ძალამ არჩევნების შემდეგ არა თუ არ დატოვა პოლიტიკური ასპარეზი, არამედ შეინარჩუნა აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტის სახით (კონსტიტუციიდან გამომდინარე), ასევე შექმნა საპარლამენტო ფრაქცია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გუბერნატორებს ნიშნავდა პრეზიდენტი, ხოლო ადგილობრივ დონეზე ძალაუფლება კვლავაც „ნაციონალების“ ხელში რჩებოდა.

ამჯერად, პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, საშინაო და საგარეო ფაქტორების გათვალისწინებით, „ქართული ოცნება“ ანალოგიურ ქმედებებს ვერ განახორციელებდა. ამიტომ, იძულებული იყო, საარჩევნო დანაპირებების შესრულება შეზღუდული ძალაუფლების პირობებში და პრეზიდენტის ინსტიტუტს მორგებულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში დაეწყო. პარალელურად, სჭირო იყო კონსტიტუციაში არსებული იმ ნაღმების განეიტრალება, რომელთა მეშვეობითაც პრეზიდენტს შეეძლო, ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი და დესტაბილიზაცია გამოეწვია, რაც, თავის მხრივ, კონსტიტუციურ ცვლილებებს და „ნაციონალი“ დეპუტატების მხარდაჭერას მოითხოვდა, რადგან „ქართულ ოცნებას“ ამ ცვლილებებისათვის აუცილებელი ხმების რაოდენობა არ გააჩნდა.

პრეზიდენტის არჩევნებმა და ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებიდან და პოლიტიკიდან წასვლამ ახალი პოლიტიკური რეალობა წარმოშვა. „ქართული ოცნება“ ამჟამად უკვე სრულად ფლობს ცენტრალური ხელისუფლების როგორც აღმასრულებელ, ისე საკანონმდებლო შტოებს (მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის სჭირდება „ნაციონალური“ ხმები!); შესაბამისად, ეს მოსალოდნელიც იყო, ახალ ვითარებაში ხელისუფლება შეეცადა, გაეაქტიურებინა სამართლიანობის აღდგენა თემა, რომლის გამოც საზოგადოებას მისდამი განსაკუთრებული პრეტენზია აქვს.

რადგან ეს მოლოდინი გააჩინეს და სამართლიანობის აღდგენაზე, ზოგადად, უარს არ ამბობენ, რაღაც დონით და ფორმით, აუცილებლად უნდა დაკმაყოფილონ საზოგადოებაში არსებული მოლოდინი. წინააღმდეგ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ სრული პოლიტიკური ფიასკო გარდაუვალია.

დიპლომატიურ ეტიკეტს თუ გვერდზე გადავდებთ და პირდაპირ ვიტყვით, ფაქტია, რომ სამართლიანობის პროცესის ინტენსივობას, ძირითადად, დასავლეთის ქვეყნების პოზიცია აბრკოლებდა. მათ გარკვეული უნდობლობა ჰქონდათ როგორც ივანიშვილის, ასევე კოალიციის მიმართ. ამიტომ ცდილობდნენ, პოლიტიკურ ასპარეზზე შეენარჩუნებინათ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც „ქართული ოცნების“ საპირწონე, დასავლური ორიენტაციის მქონე პოლიტიკური ძალა.

ბუნებრივია, სიტუაციის ცვლილებას ყველაზე სწრაფად და ზუსტად აღიქვამენ ის ადამიანები, რომელთათვისაც ეს ცვლილებები პირად უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს არც ვანო მერაბიშვილის სკანდალური განცხადებები, არც უგულავას დაბარებები და არც „ნაციონალთა“ საპროტესტო აქციები (ისიც ნიშანდობლივია, რომ სააკაშვილი განარიდეს თუ თავად(?) განერიდა ამ პროცესებს!).

– რას მიიჩნევდით 2013 წელს ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად?

– ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ 2013 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პრეზიდენტის არჩევნები და ვილნიუსის სამიტზე ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება.

პრეზიდენტის არჩევნებმა აჩვენა, რომ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში შეგვიძლია, ჩავატაროთ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და ქართული საზოგადოება მზადაა დემოკრატიული პროცესის გაღრმავებისა და განვითარებისთვის, რაც ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცოდით, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ეს დაინახეს და შეაფასეს დამკვირვებლებმა და დასავლეთის პოლიტიკურმა წრეებმა. ვილნიუსის სამიტზე კი კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩვენი ქვეყნისა და ახალი ხელისუფლების დასავლური ორიენტაცია, რაც ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან გარკვეული შიშები „ქართული ოცნების“ საგარეო კურსის მიმართ დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში ნამდვილად არსებობდა.

– ფაქტია, რომ პოლიტიკიდან ივანიშვილის წასვლის შემდეგ მთელი პასუხისმგებლობა მისი პოლიტიკური გუნდის ლიდერებს ირაკლი ღარიბაშვილს, გიორგი მარგველაშვილსა და დავით უსუფაშვილს დაეკისრათ. ისიც ფაქტია, რომ ხელისუფლება არაერთი სერიოზული პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. ვითარებაში, როცა ხელისუფლებას არაოპერატიულობა, უუნარობა და ხშირად არაეფექტურობა ბრალდება, თქვენი აზრით, რა პრობლემები უნდა გადაჭრას ხელისუფლებამ, რომ მისი მმართველობა ეფექტური იყოს და საზოგადოებამ შეძლოს წინა და ახალ ხელისუფლებებს შორის როგორც განსხვავებების, ისე ახლის უპირატესობების არა მარტო შემჩნევა, არამედ რეალურად აღიარება?

– ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უაღრესად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო, თანაც ყველა მიმართულებით – პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური. ამას თან ერთვოდა უკიდურესად დაძაბული საშინაო და საგარეო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობები. თანაც, როგორც უკვე აღვნიშნე, განვლილ ერთწლიან პერიოდში ქვეყანაში კოჰაბიტაციად წოდებული და ჩვენი დასავლელი პარტნიორების მიერ ერთმნიშვნელოვნად მხარდაჭერილი რეალური ორხელისუფლებიანობა იყო გამეფებული. ასეთ ვითარებაში ძნელია, თუ შეუძლებელი არა, იყო ეფექტური და ოპერატიული. მით უმეტეს, როდესაც „ეფექტურობისა და ოპერატიულობის“ საზომად ჩვენი საზოგადოება სამართლიანობის აღდგენას, უფრო სწორედ, ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა დაპატიმრებასა და პასუხისგებაში მიცემას მიიჩნევს.

– სავარაუდოდ, როგორ განვითარდება პროცესები 2014 წელს საშინაო პოლიტიკაში?

– უპირველესად, უნდა აღვნიშნო, რომ ახალ, 2014 წელს საპარლამენტო პარტიები ლიდერების, მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის გარეშე ხვდებიან. ამიტომ, საინტერესოა, რას მოიმოქმედებენ პარტიები აღიარებულ ლიდერთა გარეშე და არანაკლებ საინტერესოა, რას მოიმოქმედებენ ლიდერები და როგორი იქნება მათი გავლენა როგორც უშუალოდ თავიანთ პარტიებზე, ისე, ზოგადად, პოლიტიკური პროცესის განვითარებაზე.

მიხეილ სააკაშვილი წავიდა ხელისუფლებიდან და არა – პოლიტიკიდან. დარწმუნებული ვარ, თუ მცირე, თუნდაც თეორიული შანსი მიეცა, ის აუცილებლად იბრძოლებს ხელისუფლებაში დასაბრუნებლად. მაგრამ, დღევანდელი გადასახედიდან ისე ჩანს, რომ სააკაშვილი „ნაციონალებისთვის“ უფრო პრობლემაა, რადგან შეეცდება, შეინარჩუნოს პარტიის ლიდერობა, როგორც ხელისუფლებაში დაბრუნების ერთადერთი საშუალება, რაც ხელს შეუშლის „ნაციონალებს“, მოახდინონ პარტიის რეალური ე.წ. რებრედინგი და შედარებით გაკეთილშობილებური სახით მიიღონ მონაწილეობა 2016 წლის პარლამენტის არჩევნებში.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მისი წასვლა პოლიტიკიდან უაღრესად დიდი დანაკლისია „ქართულ ოცნებისთვის“. დაპირების მიუხედავად, „საჭიროების შემთხვევაში პოლიტიკაში დავბრუნდებიო“, ვფიქრობ, ამგვარი ალბათობა ნულის ტოლია. დაბრუნებას, ცხადია, სჯობდა ხელისუფლებასა და პოლიტიკაში დარჩენილიყო, მაგრამ, ქვეყანას ისიც წაადგება, თუ სამოქალაქო სექტორში აქტიურ და კრიტიკულ პოზიციას დაიჭერს. თუმცა, გულწრფელად რომ ვთქვა, მგონია, სამოქალაქო სექტორი ივანიშვილისთვის არის ის პოზიცია, საიდანაც შეძლებს, ნაკლები აჟიოტაჟის ფონზე, თანდათან გაეცალოს აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ვფიქრობ, ორივე საპარლამენტო ძალა შეეცდება, ადგილობრივ არჩევნებამდე მკვეთრი და რადიკალური გარდაქმნების გარეშე მივიდეს. უფრო მოსალოდნელია, პარტიული რეორგანიზაციები არჩევნების შემდეგ დაიწყოს.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში კი დარჩა, მაგრამ დაკარგა პოლიტიკური კაპიტალი. მას თითქმის არ გააჩნია პოლიტიკური რესურსი ქვეყნის მომავლისთვის სასიკეთო, მაგრამ არაპოპულარული გადაწყვეტილება მიიღოს. ამიტომ, სურს თუ არა, იძულებული იქნება, ნებისმიერი საკამათო გადაწყვეტილება ბ. ივანიშვილის სახელს „მიაბას“, ანუ მისი პოლიტიკური კაპიტალი გამოიყენოს.

უაღრესად რთულ და პარადოქსულ სიტუაციაში აღმოვჩნდით - ქვეყანას მართავს პოლიტიკური ძალა, რომლის პოლიტიკური კაპიტალი ნულზე ოდნავ მეტია, პარლამენტში არის პოლიტიკური ოპოზიცია, რომლის კაპიტალი ნულს ქვემოთაა, ხოლო პარლამენტს გარეთ არსებული პოლიტიკური ოპოზიციის ჯამური კაპიტალი ნულის ტოლია! და ეს მაშინ, როდესაც ყველა გათვლით, ყველა საშინაო თუ საგარეო ფაქტორის გათვალისწინებით, 2014 წელი ჩვენი ქვეყნისთვის უაღრესად მძიმე და რთული იქნება.

სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ პირადად მე, 2012 წელს მომავლის იმედითა და გამარჯვების რწმენით შევხვდი, 2013-ს – გამარჯვებით გახარებული, 2014-ს კი საფრთხის შემცველი იმედითა და ბუნდოვანი მომავლის მოლოდინით ვხვდები. თუმცა, ვფიქრობ, თუ ხელისუფლება ფრთხილად და პრინციპულად, ფართო საზოგადოებასთან შეთანხმებით იმოქმედებს, შევძლებთ, სირთულეებიც დავძლიოთ და მშვიდობა და სტაბილურობაც შევინარჩუნოთ.

– როგორ შეაფასებდით საერთაშორისო ასპარეზზე არსებულ ვითარებას? თვალშისაცემია პუტინის მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე – ჯერ, იყო პუტინმა დასავლეთს უარი ათქმევინა პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის დამონტაჟებაზე, შემდეგ – სირიაში ომის დაწყებაზე, შემდეგ მოსკოვის შუამავლობით ერთგვარად დათბა ურთიერთობები აშშ-სა და ირანს შორის და ირანმა გააგრძელა თავისი „მშვიდობიანი ბირთვული“ პროგრამის რეალიზება. ამის პარალელურად კრემლი კიევზე ზეწოლას ახორციელებს. ფაქტობრივად რუსეთმა დასავლეთს უკრაინისათვის ბრძოლის ერთი ეტაპი მოუგო. რა ხდება?

– სანამ პუტინისა და რუსეთის მიღწევებზე ვილაპარაკებდეთ, მინდა აღვნიშნო, რომ იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, რომელსაც ცივი ომის პერიოდში მოუწია ცხოვრებამ და მოღვაწეობამ. ასე რომ, აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის დაპირისპირება ჩემთვის სიახლეს არ წარმოადგენს. ისიც ვიცი, რომ სერთო პოზიციური დაპირისპირების ფონზე, იქმნებოდა კრიტიკული სიტუაციებიც – მაგალითად, კარიბის კრიზისი, პრაღის გაზაფხული, ავღანეთის ოკუპაცია... მაგრამ, დაპირისპირების ცივი ომის სტრატეგია რჩებოდა უცვლელი, რამაც, საბოლოო ჯამში, დასავლეთს წარმატება მოუტანა.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, დასავლეთმა სტრატეგია შეცვალა და დაპირისპირების ნაცვლად პარტნიორობისა და ჩართულობის სტრატეგიაზე გადავიდა, რასაც ადასტურებს ნატოსა და რუსეთის ურთიერთობები და „დიდი შვიდიანის“ გარდაქმნა „დიდ რვიანად“.

თუ რუსეთ-დასავლეთის ურთიერთობებს ჩართულობისა და პარტნიორობის სტრატეგიის კონტექსტში განვიხილავთ, პუტინის მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე არცთუ ისე შთამბეჭდავი აღმოჩნდება. გამონაკლისია, რა თქმა უნდა, უკრაინა, მაგრამ, ჯერ ერთი, იქ პროცესები არ დასრულებულა და მეორე, დასავლეთმა თავისი რეაქცია რუსეთის ქმედებების მიმართ ამჯერად სოჭის ოლიმპიადაზე პოლიტიკური ლიდერების წაუსვლელობით გამოხატა, ისევე როგორც მრავალი წლის წინათ მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტით გამოუცხადა პროტესტი შეჭრას ავღანეთში. თუ რუსეთი კვლავაც გააგრძელებს უკრაინაზე ზეწოლას, ვფიქრობ, დასავლეთის რეაქცია უფრო მკაცრი და კატეგორიული იქნება.

აქვე არ შემიძლია, არ აღვნიშნო საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმატებულად განხორციელებული პოლიტიკა და შემუშავებული პოზიცია სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობასთან დაკავშირებით. მიუხედავად მასირებული პროპაგანდისტული ზეწოლისა და კოლაბორაციონიზმში ბრალდებისა, საქართველოს ხელისუფლებამ ემოციურად და დაუფიქრებლად არ მიიღო გადაწყვეტილება, ბოიკოტი გამოეცხადებინა ოლიმპიადისთვის, მოგვიანებით კი შეიმუშავა პოზიცია, რომლის მიხედვითაც, ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებდნენ სპორტსმენები, მაგრამ არა - ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა. სასიამოვნოა, რომ დღეს მსგავსი პოზიცია დაიკავეს დასავლეთის ქვეყნების ლიდერებმა და გოლიათთან მებრძოლი დავითის ნაცვლად, ჩვენ პირველად გავხდით დასავლეთის რეალური პოლიტიკის მონაწილე.

– რუსეთი-საქართველო. რუსეთმა უკრაინას ევროინტეგრაციაზე უარი ათქმევინა. ყირგიზეთის პრეზიდენტი ალმაზბეკ ატამბაევი აცხადებს, რომ „პუტინი მას აშანტაჟებს“. ექსპერტთა უმრავლესობა 2014 წელს რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზეწოლას პროგნოზირებს. ღარიბაშვილი აღიარებს, რომ „რუსული მხარის ქმედებები ჩვენს ნაბიჯებთან შეუთავსებელია“. ამის პარალელურად საქართველოზე პუტინის განცხადებები, თითქოს 2008 წელს ომი საქართველომ დაიწყო, რომ მას ქართველები ძალიან უყვარს და რუსეთსა და საქართველოს შორის ღრმა კულტურული და რელიგიური ურთიერთობები არსებობს. მოკლედ, როგორი იქნება კრემლის პოლიტიკა საქართველოს მიმართ?

– რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობები არასდროს ყოფილა ურთიერთნდობასა და პატივისცემაზე დაფუძნებული. რუსეთი ყოველთვის ცდილობდა, დაემორჩილებინა და საკუთარ საზღვრებში მოექცია საქართველო. ჩვენს დამოუკიდებლობას რუსეთი განიხილავს, როგორც დროებით მოვლენას და ეძებს გზებს და ფორმებს, რათა კვლავაც იმპერიის ნაწილად გვაქციოს, მაგრამ ისე, რომ ამან დასავლეთთან ხისტი დაპირისპირება არ გამოიწვიოს. ანალოგიურია დამოკიდებულება სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მიმართაც.

რადგან დსთ-ს ფორმატმა არ გაამართლა, რუსეთი ცდილობს, თანამედროვეობას უფრო მორგებული, ევრაზიის ეკონომიკური კავშირი შემოგვთავაზოს. თუმცა, თუ საჭირო გახდა არც ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებაზე, კონფლიქტების ინსპირირებაზე, შანტაჟსა და სამხედრო ძალის გამოყენებაზე იტყვის უარს. ამიტომაც არ აპირებს ძალის გამოუყენებლობაზე შეთანხმებაზე ხელმოწერას.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რუსეთს, ცხადია, გაუჭირდება ასოცირებული ქვეყნის მიმართ ეკონომიკური ბერკეტების თუ სამხედრო ძალის გამოყენება, ამიტომ, ისევე, როგორც უკრაინასა და სომხეთის შემთხვევაში, შეეცდება, თავის ხელთ არსებული ბერკეტები გამოიყენოს და ხელმომწერ ქვეყანას თავადვე ათქმევინოს უარი ხელმოწერაზე.

იმის მტკიცება, რომ რუსეთმა ჩვენს წინააღმდეგ თავის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი უკვე გამოიყენა, იდიოტობამდე მისული გულუბრყვილობაა თუ მეტი არა. ამიტომ საქართველოს ხელისუფლება უნდა იყოს ძალიან ფრთხილად. უნდა გაანალიზდეს დესტაბილიზაციის ყველა შესაძლო თუ ჰიპოტეტური ვარიანტი და დამუშავდეს მისი განეიტრალების გზები. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება.

– აშშ-საქართველო. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა ვიქტორია ნულანდმა თბილისში ყოფნისას განაცხადა – „ველით საქართველოს ლიდერთა ვიზიტს აშშ“. ივანიშვილისადმი ბარაკ ობამას წერილში ნათქვამია – „აშშ იმედის თვალით უყურებს ღარიბაშვილთან თანამშრომლობას“. ცნობილია, რომ 2014 წლის იანვარში თბილისს გავლენიანი ამერიკელი სენატორები და კონგრესმენები ეწვევიან. ვითარებაში, როცა კრემლს პოსტსაბჭოთა სივრცეში ძველი ამბიციები არ ასვენებს, სავარაუდოდ, როგორ განვითარდება ურთიერთობა აშშ-სა და საქართველოს შორის?

– 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აშშ-სა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები საგრძნობლად გაცივდა, თუმცა, პარტნიორული ურთიერთობები ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა. ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რამ გამოიწვია ურთიერთობების გაცივება. თუმცა, შესაძლებელია, დაბეჯითებით ვივარაუდოთ, რომ პარლამენტის არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებასა და, რაც მთავარია, ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემაში, ქართველ ხალხთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკის ადმინისტრაციას და მის წარმომადგენელს საქართველოში, ამერიკის ელჩს.

ისიც სავარაუდოა, რომ ძალაუფლების სანაცვლოდ გარკვეული გარანტიები იქნა გაცემული და მიღებული. სწორედ ამ გარანტიების შესრულება-შეუსრულებლობა შეიძლებოდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი ურთიერთობათა გაციების. არის სხვა ვერსიები, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგან დამოკიდებულება შეიცვალა და შეიცვალა უკეთესობისკენ. ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ამერიკის ადმინისტრაცია მჭიდროდ ითანამშრომლებს საქართველოს ხელისუფლებასთან, ხოლო თუ უკრაინაში მიმდინარე პროცესებსა და კრემლის მისწრაფებებს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარუდოთ, რომ აშშ მაქსიმალურ მხარდაჭერას გაუწევს საქართველოს ხელისუფლებას მის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაში.

კოგა გენდელიანი

თბილისელობა? არა, ნიჭიერება და დირსეულობა!..

მარქვი, რომელს შვილს ჰხედავ დირსეულს, რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?“

ნიკოლოზ ბარათაშვილი



სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარო, – უთქვამს პოეტს და არა ერთს. პოეტები და მწერლები სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა ჟანრით გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას იმ ადგილისადმი, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ. შემოქმედნი მთელი გულით და სულით, ლაღად, დიდი და გადამდები სიყვარულით უმღერიან მშობლიურ ქალაქსა თუ სოფელს, აღფრთოვანებით გამოხატავენ იმ მიწის სიყვარულს, სადაც პირველად აიდგეს ფეხი ... ხალხმაც აიტაცა მათ მიერ გამოთქმული ლექსები, სიტყვები, წინადადებები, იმიტომ, რომ ხალხის გულისნადებიც ეს არის. არა მგონია, არსებობდეს ადამიანი, რომელსაც არ უყვარდეს მისი გამზრდელი მშობლიური ადგილი... სწორედ იმ ადგილიდან იწყება და ადამიანის ზრდასთან ერთად იზრდება და ფართოვდება არეალი, რომელსაც სამშობლოს ვეძახით. სამშობლო! – საოცარი ძალისა და მუხტის შემცველი სიტყვაა. სამშობლოსათვის იღვწოდნენ და თავსაც, სიცოცხლესაც კი სწირავდნენ ადამიანები. რატომ არის ასეთი მაგიური, აღმტაცი და აღმაფრენი სამშობლოს სიყვარულის გრძნობა? რატომ ერჩივნა ქართველ კაცს თავის მამულში ღარიბულად ცხოვრება სხვის მიწაზე განცხრომით ცხოვრებას? რატომ ამბობდნენ ჩვენი წინაპრები, „უწინამც დღე კი დამელევა მე! უცხოობაში რაა სიამე, სადაცა ვერ ვის იკარებს სული და არს უთვისო, დაობლებული?“ ბევრი, ძალიან ბევრი მაგალითების მოყვანა შეგვიძლია როგორც ჩვენი მწერლობიდან, ასევე რეალური, ყოფითი ცხოვრებიდანაც...

ყოველივე ამით იმის თქმა მინდა, რომ უყვარს ადამიანს თავისი მშობლიური კუთხე-ადგილი, ქალაქი თუ სოფელი. თბილისელს – თბილისი, თელაველს – თელავი და ასე შემდეგ, მაგრამ განა მარტო თავისი გამზრდელი კუთხე უყვარს, არამედ ასეთივე დიდი გრძნობით უყვარს ის ქვეყანა, რომელსაც ეს კუთხე მიეკუთვნება, იმიტომ ეძახის მას სამშობლოს, იმიტომ აცნობს ქართველი გარეშე პირს მე საქართველოდან ვარო, ინგლისელი – ინგლისიდან ვარო და ასე შემდეგ. იმიტომ აღდგნენ საქართველოს ყველა კუთხის ვაჟკაცები სოხუმის გადასარჩენად, ცხინვალის დასაცავად... სიცოცხლეც არ დაიშურეს, ოღონდ სამშობლო მოღალატეთა და სეპარატისტებისაგან დაეცვათ!. დიახ, სოხუმი თუ ცხინვალი ისეთივე სამშობლო იყო საქართველოს ნებისმიერი კუთხის შვილისთვის, თელაველი თუ ბათუმელისთვის, ზუგდიდელისა თუ ქუთაისელისათვის, როგორც თავად სოხუმელისა და ცხინვალელისთვის.

არავის არ უკვირს, რომ ჩვენი ულამაზესი დედაქალაქი, თბილის-ქალაქი, ყველასათვის სანატრელი, საყვარელი, საოცნებო ქალაქია. მარტო იმიტომ კი არა, რომ ის ჩვენი ქვეყნის მთავარი ქალაქია, დუდუნა მტკვარიც რაღაც განსაკუთრებული მოხდენილობით მიედინება მის შუაგულში, რომ აქეთ-იქით კოხტა გორები და მთები მცველებივით ამოდგომიან, საქართველოს უძველესი დროიდან ამაყად მომავალს, თავგადასავლებით დახუნძლულს, საქართველოს ისტორიის გულისშემძვრელი მაგალითებით და ეპიზოდებით სავსე თბილის-ქალაქს. არა, მხოლოდ ამიტომ არა, და, სამწუხაროდ, აქ მიზეზების ახსნა არც თუ ისე საამო და კეთილმოსასმენია ქართველთათვის. საქართველოს მესვეურებმა ქვეყანა თანაბარი განშტოებით, კულტურული კერების, სამეცნიერო სამოღვაწეო ასპარეზების ზომიერი გადანაწილებ-გადმონაწილებით, სხვადასხვა ქალაქებსა და მხარეებში თანამედროვე ტექნიკის შესაძლებელი აღორძინებით როდი გაუყენეს ცივილიზაციის გზას... არა, ყოველივე შესაძლებელი: კულტურა, ხელოვნება, წარმოება თუ სხვა , თანამედროვე ადამიანის განვითარებისთვის აუცილებელი ელემენტები, მოათავსეს დედაქალაქში, დანარჩენი რეგიონები დატოვეს საკუთარი ფოლკლორის ამარა. ასეთი ტენდენცია გრძელდება დღემდე... თანამედროვე ტექნიკა კი არადა, მისასვლელი გზაც არა აქვს ზოგიერთ კუთხეს. ნუთუ ასეა სხვა ქვეყნებშიც? შეიძლება, მაგრამ, ალბათ, მეტ-ნაკლებად. ევროპაში ზემოჩამოთვლილი ნიშნებით არ არის ისეთი მკვეთრი განსხვავება დიდ და პატარება ქალაქებს შორის, დედაქალაქებსა და სხვა რიგით ქალაქებს შორის. ჩვენ, ყველას თუ არა, ძალიან ბევრს გვინახავს განვითარებული, კულტურითა და ხელოვნებით აყვავებული, ან საწარმოო დარგებით ცნობილი ევროპული ქალაქები. ისე ნამდვილად არ არის, როგორც ჩვენთან თბილისია, საქართველოს ერთადერთი, გამორჩეული, განუმეორებელი ქალაქი! რა თქმა უნდა, დედაქალაქი ყველგან ერთადერთია, მაგრამ მას გვერდს უნდა უმშვენებდეს სხვა ქალაქებიც და, საერთოდ, დედაქალაქის გარდა, ქვეყნის დანარჩენი ტერიტორია თანამედროვეობის შესაბამისად უნდა იყოს მოვლილ-მოპატრონებული, ეზოებსა და სახლებს წყლის ონკანი და ელექტრომომარაგება სანატრელი არ უნდა ჰქონდეთ. საყოველთაოდ ცნობილი აქსიომაა, რომ ადამიანის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ენიჭება გარემოს.

ზოგადად, ქალაქში მაცხოვრებელი გამოირჩევა რეგიონებში მაცხოვრებელთაგან. ძეგლებით, არქიტექტურით კულტურული ცენტრებით სხვა რეგიონებთან შედარებით მდიდარი თბილისი ხელს უწყობს ადამიანის ესთეტიურად ჩამოყალიბებას, ზეგავლენას ახდენს მის მიხრა-მოხრასა და ჟესტიკულაციაზე, საარტიკულაციო ბაზისზედაც (აქცენტი, გამოთქმები) კი. ამ უკანასკნელის ჩამოყალიბებას მივაწერ ქალაქში უფრო მეტად მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსის თანაცხოვრებასაც. ყოველივე აქედან გამომდინარეობს განსხვავება სოფლელსა და ქალაქელს შორის, მაგრამ არავინ იცის, რისგან გამომდინარეობს, საიდან და როგორ ჩნდება ნიჭი. ვერანაირი ადგილმდებარეობა ვერ ქმნის ადამიანის ნიჭს, ტალანტს, იგი ბუნების და იმ უხილავი ძალის შემოქმედებაა, რომლის სადიდებლადაც ათეულობით რელიგიური კონფესიაა პლანეტის დასახლებულ ტერიტორიაზე. ჩვენ, კერძოდ, ქართველები ვხედავთ და ვარჩევთ სოფლელს ქალაქელისაგან, ვარჩევთ ადამიანებს სხვადასხვა ნიშნით, მაგრამ ზეციერისთვის არა აქვს მნიშვნელობა რომელ კონტინენტზე, რომელ რეგიონში, რომელი მდინარისა თუ ზღვის სანაპიროზე, რომელ კუთხეში მაცხოვრებელ ადამიანს დააჯილდოებს ნიჭით. ზოგჯერ ისეთი დიდი ტალანტითა და ნიჭითაც კი, მთელ მსოფლიოს რომ გასწვდება...

ჩვენ, ქართველებმა, მართლაც რომ კულტი შევქმენით თბილისელებისაგან. ახლანდელ თბილისზე ამას ვერ დავიჩემებ, მაგრამ უწინ ნამდვილად ასე იყო. რეგიონებსა თუ სოფლებში მცხოვრებელთათვის თბილისელი პატივსაცემი ადამიანი გახლდათ. გარეგნული ელფერით, ქცევით, ჩაცმულობით, კულტურით თუ ცოდნით (უფრო მეტად ინფორმაციულობით) იგი ადგილობრივთა ყურადღებას იპყრობდა. ყოველივე ამას თან ახლდა სითბო, სიყვარული თანადგომისა და დამეგობრების სურვილი – დიახ, ნამდვილად სხვა იყო 40-50-იანი წლების თბილისიც და მთელი საქართველოც. მაგრამ შემდგომ, სამწუხაროდ, ნაშთი იმ სიძველისა – ქალაქელისა და ქალაქელობისა სულ სხვა გრძნობებში გადაიზარდა. რა ჰქვია ამ ნაშთს, ზუსტად ვერ მოგახსენებთ, ყოყლოჩინობა, „კასტობანა“ თუ რა, არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ ზოგიერთები „ნაღდ თბილისელს“, რომ გამოარჩევენ ჩვეულებრივი თბილისელისაგან.

საუბარი ისე წარიმართა, თავისთავად, ჩემს უნებურად, რომ თითქოს ვერ გამიგია იმ ადამიანებისა, რომლებიც „თბილისელობაში“ რაღაც განსაკუთრებულ შინაარსს დებენ. მესმის, ადამიანი, სადაც ცხოვრობ, ქვეყნის რომელ კუთხეშიც, ესე იგი, იმ გარემოს შესისხლორცებული ხარ, იქაურობის თითოეული დეტალი: სკვერი, ქუჩა, პარკი, სახლი თუ შენობა, მდელო, ტყე თუ მინდორი, იმ უბნის წარსული, აწმყო და მომავალი შეცნობილი გაქვს, შეთვისებული და გათავისებული და ყველაფერი ეს შენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად მიგიჩნევია, ქცევა, მიხრა-მოხრა თუ საუბრის კილოც, როგორც იქ ამოსულ-აღმოცენებულს, იმ შენი საცხოვრებელ გარემოს შესაფერისი გაქვს. ეს ბუნებრივი ამბავია, რა არის ცუდი ამაში, პირიქით, ასეც უნდა იყოს თუკი ყოველივე ამას პასუხისმგებლობის გრძნობაც ახლავს. გიყვარს შენი ქალაქი? ესე იგი, აუცილებელია, მიიღო მონაწილეობა მისი წესრიგის, სისუფთავისა და მყუდროების დაცვაში, მის გამწვანებასა და მოვლა-პატრონობაში. არასოდეს უნდა იფიქრო, რომ ეს სხვისი საქმეა და არა შენი გასაკეთებელი, აი, მაშინ ხარ თბილისელი (გორელი, ქუთაისელი და ა. შ.), მხოლოდ მაშინ! არა მგონია, რომ ასეთ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს როდის ჩამოსახლდი უკვე შენს საყვარელ ქალაქში.

იყო ერთი ძვირფასი ქალბატონი – გუია ბერულავა, წიგნიერი და განათლებული, სამშობლოს პატრიოტი და ნამდვილი თბილისელი. შესანიშნავი, დახვეწილი ქართულით გვიყვებოდა აუდიტორიას, როგორ გახდა იგი თბილისელი, მას შემდეგ, რაც სამეგრელოს შორეული სოფლიდან ჩამოვიდა. უპირველეს ყოვლისა, როდესაც მწერალთა სახლის თანამშრომელი გახდა, მუშაობა თავისთავზე დაიწყო, საკუთარი აქცენტი თუ კილო რომ დაეძლია, სწორი ქართულით რომ ესაუბრა. ყოველივე ამით იმის თქმა მინდა, რომ თუ ესა თუ ის სოფელი, რაიონი, ქალაქი მოგწონს და საცხოვრებლადაც აგირჩევია, აუცილებლად იქაური უნდა გახდე! თორემ არც ქალაქი და არც სოფელი არ მიგიღებს „სხვანაირს“. კარგად მესმის ადამიანების, რომლებთაც ქალაქის პატრონად და მოთავედ, ეგრეთ წოდებული, „ნაღდი თბილისელი“ უნდათ. შენი მშობლიური ადგილისადმი მიკერძოებულობა, მარტო სიყვარულისაგან როდი გამომდინარეობს, სიყვარულით ჩვენ მთელი საქართველო გვიყვარს, მაგრამ გაცილებით სხვაა მშობლიური ადგილი.

თუმცა, არც სიყვარული და არც ის ანდამატური გრძნობა, დროთა განმავლობაში მშობლიური ადგილისადმი რომ უყალიბდება ადამიანს და რომლის დახასიათება, აღწერა და გადმოცემა არც ისე ადვილია, როდია საკმარისი იმისათვის, რომ ქალაქის მეთაურობა შეძლო, აიღო მისი მოსახლეობის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობა, წარმატებით გაუძღვე ქალაქისათვის დამახასიათებელ ყველა სამეურნეო საქმიანობას... ასე რომ – იყო თბილისელი, ერთია (როგორც ვთქვით, თბილისელობა არ არის მსუბუქი ტვირთი. სამწუხაროდ, ყველა თბილისელმა როდი იცის ამის შესახებ!), მეორეა და სულ სხვა რამ – ქალაქის მართვა. იყო ქალაქის ცხოვრების სწორად დამგეგმავი და მმართველი – ქალაქის ყოფა-ცხოვრების გამგებ-შემცნობი, ამისათვის ძალიან რთული, განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი რამ არის საჭირო, ეს არის ნიჭი, ნიჭიერება და შემდეგ ამ ნიჭით ათვისებული ცოდნა- განათლება და ის პროფესიაა საჭირო, რომელიც ქალაქის მმართველს შეესადაგება.

ამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში არც ერთი ქართველისათვის სასიხარულო ამბავი არ მომხდარა ქვეყანაში, ჩვენი საქართველო შემცირდა ტერიტორიულად, დაცოტავდა მოსახლეობით. დედაქალაქი კი პირიქით – გაიზარდა! არ არის ახლა ის დრო, თითოეულ ქალაქელს, თავის სახლად, თავის ოჯახად რომ მიაჩნდა პატარა და კოხტა, ორ-სამსართულიანი სახლებით გაწყობილი თბილისი, ქალაქი, რომლის ყველა უბანს ერთ დღეში მოივლიდი, რომლის, თითქმის, ყველა სახლის ფანჯარაში ნაცნობს მოჰკრავდი თვალს. სულ სხვა სინამდვილე დაგვიდგა თვალწინ და ამ სინამდვილეს ახლებურად უნდა განსჯა. არ არის ახლა იმის დრო, თუ რა იქნებოდა უკეთესი, როგორი დედაქალაქი გვერჩივნა... მოსახდენი მომხდარა, თბილისი ის აღარ არის, რაც იყო. ვერც „თბილისელობამ“ შეინარჩუნა თავისი ძველებური შინაარსი. სხვა მოთხოვნილებები წამოგვიყენა ქალაქმა. ქალაქს ესაჭიროება „დიდი თავის“ მქონე, ჭკვიანი პატრონი. ის, რომ ის უნდა იყოს წესიერი, ზრდილი, მოსმენის კულტურის მქონე, ქალაქის გამდიდრებ-გალამაზებაზე მზრუნველი და არა მხოლოდ საკუთარი სიმდიდრის მოპოვებაზე გადაგებული, ეს ერთია, მაგრამ უნდა იყოს შორსმჭვრეტელიც და შორსმხედველიც, პროსპექტებზე კი არა, რა ხდება ქუჩა-შუკებში, იმასაც კარგად უნდა ამჩნევდეს...

ძნელია აწ უკვე, ცოტა არ იყოს და, გაუცნაურებული ქალაქის მაჯისცემის მოსმენა მხოლოდ თბილისელის „თბილისელობით“, ძნელია ღირსეულის პოვნა...

გულნარა სტურუა

◎ ალიან-ჩალიანი

უკრაინაში ქართველი ბიზნესმენი გიორგი კიკვაძე არ შეუშვეს

უკრაინის სასაზღვრო სამსახურმა უკრაინაში კომპანია „ტერაფუდის“ სტრატეგიისა და საინვესტიციო ჯგუფის დირექტორი, ქართველი ბიზნესმენი გიორგი კიკვაძე არ შეუშვა. ამის შესახებ უკრაინული მედია იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, 21 დეკემბერს, ქართველ ბიზნესმენს უარი ეთქვა აეროპორტ „ბორისპოლში“ შესვლაზე.

– მესაზღვრეებმა მითხრეს, რომ დაცვის სახელმწიფო სამსახურის ბრძანება აქვთ და ვერ შემიშვებდნენ, – განაცხადა გიორგი კიკვაძემ.

მისივე თქმით, ის უკრაინაში ბიზნესსაქმიანობას ეწევა და იქ რეგულარულად ჩადის.

ამასთან, გავრცელებული ინფორმაციით, ქართველი ბიზნესმენის გარდა, პარტია „რეგიონების“ დეპუტატის ოლეგ ცარევის მიერ შედგენილ სიაში კიდევ 30 უცხოელია, მათ შორის, პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და ექსპერტები. ვიქტორ იანუკოვიჩის მოკავშირე ცარევი მიიჩნევს, რომ ეს ადამიანები უცხოელი აგენტები არიან და, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნან უკრაინის ეროვნულ უსაფრთხოებას. რამდენიმე დღის წინათ უკრაინაში ტელეკომპანია „რუსთავი-2“ -ის ჟურნალისტი დავით კაკულია არ შეუშვეს.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

მავთულხლართები საქართველოს საზღვარზე

რუსეთის შეჭრის ხუთი წლის შემდეგ

გავიდა თითქმის ხუთი წელი „საქართველოს ომის“ შემდეგ, როდესაც მოხდა საბრძოლო შეტაკებები რუსეთსა და საქართველოს შორის. სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი, რომელთა დამოუკიდებლობაც აღიარა რუსეთმა, საქართველოს მთელი ტერიტორიის 20 პროცენტს შეადგენს. საზღვრებზე ამ ტერიტორიებთან რუსეთმა განამტკიცა ეს საზღვრები, დააყენა დაბრკოლებები. ბევრი მცხოვრები, რომლებიც დაპირისპირებულ ბანაკებს შორის აღმოჩნდნენ, დღემდე ვერ დაბრუნებულა თავის სამშობლოში. სამომავლოდ მათ კიდევ მეტი სირთულეები ელოდებათ.

საზღვრების გამაგრება

ამ მხარეში არის ვენახები და საძოვრები, ჩრდილოეთით კი აღმართულია კავკასიის დიდებული მთები. პატარა სოფელ ბობნევში საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მავთულხლართები გაიჭიმა გზებისა და ბაღების გასწვრივ, ისინი ყოფენ სოფლებს ორ ნაწილად: ქართულ და სამხრეთი ოსეთის სოფლებად.

„გაყოფის შემდეგ წყალსადენი აღარ მუშაობს. იმ მხარეს დარჩნენ ნათესავები, მამის საფლავი, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მივიდეთ ამ საფლავამდე. რა სისულელეა“, — ნაღვლობს სოფლელი ქალბატონი საქართველოს მხრიდან.

მისი სიტყვებით, ორი წლის წინათ რუსეთის ჯარებმა დაიწყეს ბობნევში უმარტივესი დაბრკოლებების აგება, მაგრამ წელს საზღვრები გაამაგრეს მავთულხლართებით. ნათესავებთან და მეზობლებთან საუბარი შეუძლიათ მხოლოდ ამ მავთულხლართების იქით-აქედან. ხდება ხოლმე, რომ ამ მავთულხლართების იქით-აქედან გადასცემენ ერთმანეთს საჭმელსაც, რომელიც აქ პერიოდულად არ ჰყოფნით. ზოგიერთი მოხუცი ფრთხილად გადმოდის საქართველოს მხარეს, რათა მიიღოს პენსია, რომელიც მათ დააგროვეს ჯერ კიდევ ომამდე. აქ კი არის საფრთხე, რომ შეიძლება დაიჭირონ ან დააკავონ სამხრეთოსეთელმა დამცველებმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საუბრობს იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის იანვრიდან რუსეთის სამხედროებმა და სამხრეთოსეთელმა მესაზღვრეებმა დააჩქარეს დაბრკოლებების აღმართვა სამხრეთი ოსეთის საზღვარზე და უკვე გადაჭიმეს მავთულხლართები 35 კილომეტრზე.

სოფელ დიცში პირდაპირ საძოვრების შუაში დააყენეს ლითონის მწვანე ფერის დაბრკოლებები.

„ისინი აყენებენ ღობეს, რომელიც შედის საქართველოს ტერიტორიაში დაწესებულ საზღვრებში“, — პროტესტს აცხადებს საქართველოს მხარე, მაგრამ რუსეთის ჯარები არაფრით არ უთანხმებენ თავიანთ მოქმედებას საქართველოს. ქართველი შეიარაღებული პოლიციელი, რომელიც თან მახლდა მგზავრობაში, გაწბილებულია: „რუსეთს გაჰყავს საზღვარი ისე, რომ, არავის უთანხმებს მას“.

სამხრეთი ოსეთის საზღვარზე ომიდან ხუთი წლის შემდეგ

აფხაზეთის დასავლეთით ჩვენ შევძელით, მივსულიყავით ხიდის მხოლოდ შუა ნაწილამდე სასაზღვრო ენგურზე. საქართველოს ომის დროს რუსეთის ჯარები გადადიოდნენ ამ ხიდზე, რომ საქართველოში მოხვედრილიყვნენ. მოპირდაპირე ნაპირზე ჩამოკიდებულია აფხაზეთის უზარმაზარი დროშა.

საქართველოს მთავრობა საუბრობს იმის შესახებ, რომ აფხაზეთში ასევე გრძელდება საზღვრების დაყენება. მესაზღვრეები ყოველდღე აკავებენ ათობით ადამიანს, რომლებიც ცდილობენ „გადაკვეთონ“ უკანონო საზღვარი. საქართველოს პოლიცია აცხადებს, რომ აფხაზეთის მოქალაქეებს გადასცეს პასპორტები და ახლა საქართველოში შესვლისა და გამოსვლისთვის აუცილებელია ნებართვა. ადრე ამ ხიდზე გადადიოდა ათასზე მეტი ადამიანი დღეში. საქართველოს ომის შემდეგ აფხაზეთის მხარემ შეამცირა ნებართვების გაცემა და ხიდზე გადამსვლელ ადამიანთა რაოდენობა ერთ დღეში 250-300-მდე შემცირდა. პოლიციის თანამშრომელს მიაჩნია: „სოჭის ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად არსებობს იმის ალბათობა, რომ საზღვრები მთლიანად დაიკეტება ქართველებისთვის ტერორისტული აქტების თავიდან ასაცილებელი ზომების სახით.

ლტოლვილებს საცხოვრებლები არ ჰყოფნით

როდესაც თბილისიდან დასავლეთისკენ 30 კილომეტრი გავიარეთ, დავინახე პატარა სახლების რიგები ერთნაირი წითელი სახურავებით. ეს არის ლტოლვილების დასახლება სახელწოდებით წეროვანი. იგი ყველაზე დიდია ქვეყანაში. მთავრობამ ააშენა დაახლოებით 2 ათასი უბრალო სახლი, ჩაასახლა სადღაც ექვსიათასამდე ლტოლვილი სამხრეთი ოსეთიდან. საქართველოში თოთხმეტი ასეთი დასახლებაა.

მშენებელი ნებიერიძე ადრე ცხინვალთან ცხოვრობდა. 2008 წლის 7 აგვისტოს გაისმა აფეთქებული ბომბების გრუხუნი, მისი სახლი ბრძოლების დროს დაიწვა. ორი დღის შემდეგ ის ტყვიების წვიმაში მანქანით გაიქცა, რათა ოჯახი გადაერჩინა. ამჟამად ცოლთან და სამ ბავშვთან ერთად ცხოვრობს პატარა სახლში, რომლის ფართობიც 79 კვ.მეტრია და რომელიც მას უსასყიდლოდ გადასცეს. ნებიერიძე დაქირავებულ მუშად მუშაობს მშენებლობაზე. მაგრამ მისი ხელფასი საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ოჯახი შეინახოს. ფული საჭიროა შვიდი წლის გოგონას მკურნალობისთვისაც, რომელსაც თირკმელები აწუხებს. რომ გადარჩენილიყო, მან დიდი სესხი აიღო ბანკიდან. „მადლობელი ვარ მთავრობისა მოცემული საცხოვრებლისთვის, მაგრამ მინდა რაც შეიძლება მალე დავბრუნდე სამშობლოში“, — ამბობს ნებიერიძე.

საქართველოს ლტოლვილთა საქმეების სამმართველოს დაანგარიშებით, ომის შემდეგ მიიღეს 25 ათასი ლტოლვილი. თუ ამ ციფრს დავუმატებთ1990 წლის ლტოლვილებს აფხაზეთიდან, გამოვა 90 ათასი ოჯახი ან 270 ათასი კაცი. ლტოლვილები ქვეყნის მთელი მოსახლეობის 6 პროცენტს შეადგენენ, ეს სრულიად არანორმალურია.

საქართველო აღშფოთებულია მავთულხლართების გამო სამხრეთ ოსეთში

ყველაზე დიდი პრობლემა საცხოვრებლით უზრუნველყოფა გახდა. 26 ათასი სახლი, რომელიც მთავრობამ შესთავაზა, ვერ ფარავს ადამიანთა საერთო საჭიროების ერთ მესამედსაც კი. დარჩენილი ლტოლვილები ცხოვრობენ ნათესავებისა და ნაცნობების სახლებში, ან ქირაობენ საცხოვრებელს. სამმართველო აპირებს უახლოესი სამი წლის განმავლობაში გადააკეთოს მრავალბინიანი სახლები, ძველი შენობები და გამოუყოს საცხოვრებელი ფართობი 20-30 ათას ოჯახს. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი დარახველიძე მიიჩნევს: „საცხოვრებელი პრობლემის გარდა არის საკითხები უმუშევრობასთან და ლტოლვილთა სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით, ბიუჯეტი კი არ გვყოფნის“.

შეიცვალა რამე პრორუსული პრეზიდენტის მოსვლის შემდეგ?

საბჭოთა ეპოქაში რეგიონებში, რომლებსაც სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა ეწოდებოდა, 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან იზრდებოდა მოძრაობა ოსებისა და აფხაზების ეროვნულ უმცირესობათა დამოუკიდებლობისთვის საქართველოსგან. უმალვე მას შემდეგ, რაც საქართველომ მიიღო დამოუკიდებლობა სსრ კავშირისგან 1991 წლის აპრილში, ორივე რეგიონმა გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობის შესახებაც, რაც საქართველოსთან შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა.

საქართველოსთან ომის საბაბით რუსეთმა აღიარა ამ ორივე რეგიონის დამოუკიდებლობა. მაშინაც კი, როდესაც ჩვენ მათ ვუწოდებთ „დამოუკიდებელ ქვეყნებს“, სამხრეთი ოსეთის მოსახლეობა 100 ათას კაცს არ აჭარბებს, აფხაზეთის მოსახლეობას კი აფასებენ, როგორც 200 ათას მცხოვრებს. რუსეთის მხრიდან ეკონომიკური დახმარების გარეშე მათ გადარჩენა არ შეეძლოთ. ორივე რეგიონში განთავსებულია რუსეთის ჯარების კორპუსები რამდენიმე ათასი კაცის რაოდენობით. ამრიგად, „სახელმწიფო თავდაცვა“ აქ ასევე უზრუნველყოფილია რუსეთის მიერ.

გაეროს ინიციატივით უმალვე ომის შემდეგ ჟენევაში გაიხსნა ომის შედეგების ლიკვიდაციის საერთაშორისო განხილვა. უკვე გაიმართა 20-ზე მეტი სესია. მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა საქართველოსა და რუსეთს შორის იყო ძალიან დიდი, ამიტომ პროგრესი ჯერჯერობით არ ჩანს.

თუმცა უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში პოლიტიკურ სიტუაციაში დიდი ცვლილებების შემდეგ, უკვე გვირაბის ბოლოს გამოჩნდა შუქი. მაგრამ შარშან საყოველთაო არჩევნებში გაიმარჯვა გაერთიანებულმა ოპოზიციამ „ქართული ოცნებამ“, რომელიც გამოდიოდა მაშინდელი პრეზიდენტის სააკაშვილის წინააღმდეგ, რომელიც მხარს უჭერდა მყარ პროდასავლურ და ანტირუსულ პოლიტიკას. ახალმა მინისტრთა კაბინეტმა დაიწყო მოლაპარაკება რუსეთთან პოლიტიკურ სფეროში, რუსეთის პოზიციაც შერბილდა: მოიხსნა აკრძალვა ღვინის შეტანაზე — ეს ქართული ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი საქონელია.

შარშან ოქტომბერში პრეზიდენტის არჩევნებში გაიმარჯვა კანდიდატმა „ქართული ოცნებიდან“ მარგველაშვილმა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა დალოცა ეს არჩევანი: „იმედი ვიქონიოთ, რომ რუსეთის მიმართულებით ეს ხელისუფლება განახორციელებს მეგობრულ, კეთილმეზობლურ პოლიტიკას, გაითვალისწინებს თანამედროვე რეალიებს“. ტერიტორიული პრობლემებისკენ მიმავალი გზები ჯერ კიდევ მონახული არ არის, მაგრამ ინტერვიუში მარგველაშვილმა გვითხრა: „ჩვენ უნდა გავუგოთ ერთიმეორეს და გამოვნახოთ კომპრომისი, ჩვენ სხვა არჩევანი არ გაგვაჩნია, გარდა რუსეთთან რაციონალური დიალოგისა“.

The Asahi Shimbun

დედამიწის ზურგზე

ისრაელელებსა და პალესტინელებს შორის პირდაპირი მოლაპარაკება შეჩერებულია — ერთიმეორეს ისინი მიმართავენ ამერიკის შუამავლობით

ვაშინგტონმა მაინც ვერ ჩამოაყალიბა წინადადება ისრაელთან პალესტინის ავტონომიის ჩარჩო შეთანხმების შესახებ. ამავე დროს პალესტინელებს ეს არ აინტერესებთ, ისინი მზად არიან მხოლოდ განიხილონ ხელშეკრულება საბოლოო მოწესრიგების შესახებ, რომელიც 2014 წლის მაისამდე უნდა დაიდოს.

* * *

უკრაინის ვიცე-პრემიერმა აღიარა, რომ მოსკოვმა კიევს გაზი გაუიაფა პოლიტიკური მიზეზებით

ამ დროს პეტერბურგის დეპუტატი ვიტალი მილონოვი კიევის ცენტრში შეეცადა, მონაწილეობა მიეღო აქციაში უკრაინის ევროინტეგრაციის წინააღმდეგ. პატრიოტული და მართლმადიდებელი ორგანიზაციების წევრებთან ერთად მან გაშალა ბანერი ტექსტით — „რუსეთი და უკრაინა — ეს ძალაა“ და წაიკითხა ლოცვა. „პროვოკატორები“ შეეცადნენ მისთვის ხელის შეშლას.

* * *

იაპონიის იმპერატორ აკიხიტოს 80 წელი უსრულდება

თავისი იუბილის წინა დღეებში მსოფლიოში შემორჩენილ ყველა მონარქიულ დინასტიებს შორის უძველესი 125-ე იმპერატორი დაგვპირდა, რომ განაგრძობს მუშაობას, შეასრულოს ოფიციალური ვალდებულებანი მთელი ძალით. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ უფლებამოსილებათა ნაწილის გადაცემას აპირებს თავისი მემკვიდრეებისთვის ორი წლის შემდეგ.

* * *

სირიაში ბოევიკები თამს დაესხნენ სკოლას, ჰოსპიტალს, ბანკს, ეკლესიას: სულ ცოტა 33 კაცი დაიღუპა

შიიტების დაბა უმ-ამედში, ჰომსიდან აღმოსავლეთით, თვითმკვლელმა ტერორისტმა დანაღმული ავტომობილი შეიყვანა სასკოლო შენობების კომპლექსში. დაიღუპა 20 კაცი, მათი უმრავლესობა ბავშვია. ალეპოში, როდესაც ვერ შეძლეს შტურმით აეღოთ „ალ-ყაიდას“ ჰოსპიტალი, ტერორისტებმა მისკენ წაიყვანეს ორი დანაღმული ავტომობილი.

◎ ნატურიდან

ღაბნეული მწერალი

გუშინ ვერაზე, ყოფილ პრესის სახლთან, ნაცნობ მწერალს გადავეყარე. განერვიულებული ჩანდა, უამური ემოციებისგან სახე მოღმეჭოდა.

– რა დაგემართა? – ვკითხე.

– ძლივს გადავრჩი, გამომეკიდნენ, – ამოილუღლუღა შეშინებულმა.

– ვინა, კაცო, ყაჩაღები?

– არა, მგონი მწერლები იყვნენ.

– მწერლები? – გავიკვირვე, – შენგან რა უნდოდათ?

– ვერ დავადგინე. მე აკადემიის ოფისში ვაპირებდი შესვლას, მაგრამ წინ გადამიდგნენ, ხელებს აქეთ-იქით იქნევდნენ და ვიღაცებს აგინებდნენ.

– ეტყობა, შენც იმ ვიღაცებში აერიე.

– არა, ავუხსენი, მწერალი ვარ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერეს – შენ თუ მართლა მწერალი ხარ, აკადემიაში რას მიძვრებიო?

– ჰო და ჰო, მწერალ კაცს რა აკადემია აგიტყდა? – ვუსაყვედურე.

– რა ვიცი, – მოისაწყლა თავი, – მითხრეს მწერლებმა ცალკე აკადემია გახსნესო და ამბის გასაგებად მივდიოდი.

– მერე, რუსთაველზე ერთი და ორი აკადემია კი არის, შენ რომელში მიდიოდი?

– ვერ გეტყვი, აკადემიას კი მოვკარი თვალი, მაგრამ რომელი იყო, დაზუსტება არ მაცალეს. რა ვქნა, ძმაო, დამაბნიეს, ჯერაც ვერ გავრკვეულვარ, მწერლობა თავისთავად ნიშნავს აკადემიკოსობასაც, თუ პირიქით, აკადემიკოსობა – მწერლობასაც?

– აა, გასაგებია, – ვუთხარი, – შენ მწერალთა აკადემია გეგონა (მწერლებიც ამიტომ მოგელანდა), მაგრამ სინამდვილეში ეგ ან კონფლიქტების აკადემია იქნებოდა, ან კიდევ – რეინტეგრაციის.

– არ გადამრიო, მწერალ კაცს რეინტეგრაციასთან რა მესაქმებოდა?

– მაგიტომ გეუბნები, ეგენი მთავრობაზე განაწყენებული ლეიბორისტები ან ლგბტ-ელები იქნებოდნენ და იმიტომ იგინებოდნენ.

– შეიძლება, რომ ვუთხარი, მწერალი ვარ-მეთქი, ამან სულ გადარია, – იქ მთავრობის დედა და აქ კიდევ შენიო, – შემომიკურთხეს. ერთმა გინებასთან ერთად მუშტიც მომაკერა.

– ახია შენზე, – შევუტიე, – მწერალი თუ ხარ, დაჯექი და მოთხრობები წერე, აკადემიაში რას გარბოდი?

– აბა, რისთვის მოვიდოდი, ჩემო ძმაო, სამათხოვროდ. შევარდნაძის დროს მთავრობას ვებრალებოდით და რაღაც 20 ლარს მაინც გადმოგვიგდებდნენ ხოლმე, მაგრამ მერე ნაცებმა ესეც შემიწყვიტეს. რაღა დაგიმალო, მშიერი ვარ, ხანდახან ისეთ ხასიათზე ვდგები, მეც სიამოვნებით შევაგინებდი მთავრობას, მაგრამ ინტელიგენტი კაცი ვარ და არ ვკადრულობ, ახლა რომ გავიგე, მწერლებმა თავიანთი აკადემია შექმნესო, ვიფიქრე, იქნებ ერთი-ორი გროში მეც მიჩილადონ-მეთქი და მივაკითხე.

– აბა, კაცო, შენც მეორე სარაჯიშვილისთვის მიგიგნია, გაიგებენ თუ არა შენ გასაჭირს, მაშინვე ჯიბეს დოლარებით გამოგიტენიან.

– ვიცი და მაგიტომაც საკუთარი პროგრამით მივდიოდი. გადავწყვიტე, აკადემიებს ახალი დროის სადაგი მოთხრობები შევთავაზო.

– არ გამოვა! – ვუთხარი მოჭრილად.

– რა არ გამოვა?

– მოთხრობები.

– შენ არხეინად იყავი, მოთხრობებს პირველად ხომ არ ვწერ?

– პირველად რომ არ წერ, სწორედ მაგიტომ გეუბნები. ახლანდელ საზოგადოებას სულ სხვანაირი მოთხრობები მოსწონს.

– მაინც როგორი?

– აი ისეთი, სიურეალისტური... თუ გინდა მოეწონოთ, მოთხრობების გმირს არც ეროვნება უნდა ჰქონდეს, არც სქესი და არც სარწმუნოება. ხომ ხედავ, სულ სხვა ცხოვრება მოვიდა. ადრე, ჩემო ძმაო, ვინ იფიქრებდა, რომ კაცი ქალადაც გამოდგებოდა და კაცადაც. ახლა სადაც როგორ დასჭირდებათ, ისე იყენებენ. მოთხრობებიც ამ ქარგაზე უნდა აიგოს.

– მასეთებს, ჩემო ოტია, ახალგაზრდა შემოქმედნი წერენ, რამდენიმე თქვენს გაზეთშიც წავიკითხე.

– მაგიტომ გეუბნები, შენ ისეთი ჯიგრიანი ქართველი ხარ, მასეთ მოთხრობებს ვერც დაწერ და არც გამოგიქვეყნებენ.

– დაწერას თავი გაანებე, კაცო, ვკითხულობ და ვერაფერს ვუგებ, – გამოტყდა მწერალი.

– შენც ნუ წაიკითხავ, ძმაო, ბოლოს და ბოლოს, მწერალი ხარ, მკითხველი ხომ არა?

– ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამ მწერალი კაცი მთლად უწერუკითხავად ხომ არ გავჩერდები?

– კარგი ერთი, მკითხველის ასე აბუჩად აგდება როგორ შეიძლება. თქვე კაი ხალხო, სხვა თუ არაფერი, მასეთ მოთხრობებს მოკლე შინაარსი მაინც დაურთეთ.

– რანაირად? – გავიკვირვე.

– ამნაირად. ახლა მახსოვს, ჩემი ბავშვობისას კინოაფიშაზე აწერდნენ: „სუ ომია!“ არაფერი დაშავდება, თქვენც რომ მიაწეროთ მოთხრობას: „სუ სექსია!“ ან „სუ გინებაა!“ სულ გაუგებრობას, იმას მაინც მიხვდები, მოთხრობაში რაზეა საუბარი. ერთ ხალხმრავალ ბიბლიოთეკაში ერთი დიდი პატივცემული მწერლის ახალი რომანის საჯარო განხილვა მოაწყვეს, მაგრამ დიდად უხერხული სიტუაცია შეიქმნა.

– რის გამო? – დავინტერესდი.

– ისევ და ისევ ჩვენი უსახსრობის გამო. წარმოგიდგენიათ, იქ დამსწრეთაგან რომანი წაკითხული არავის ჰქონდა!

– მერე რა, ქენით?

– თავად ავტორს ვთხოვეთ და რომანის მოკლე შინაარსი მოგვიყვა.

– გამომსვლელებიც იყვნენ?

– მაშ როგორ, ერთმა აქტიურმა მკითხველმა ავტორს კრიტიკული შენიშვნებიც კი შეგდა. ამაზე, გუნებრივია, მწერალი გაწყრა: თქვე კაი ხალხო, წიგნი არ წაგიკითხავთ და რა უფლებით მაკრიტიკებთო?

მომხდარის გამო ორივემ გულიანად ვიცინეთ. მწერალმა მომენტი ნახა და დამშვიდობებისას შემომაპარა:

– ძველო, თქვენს გაზეთში ერთორ მოთხრობას ვერ გამომიქვეყნებთ?

– გვღუპავ, ძმაო, გავნერვიულდი, – გაზეთი ისედაც გაუსაღებელი გვრჩება და გინდა მთლად მშრალზე დაგვტოვო?

ოტია ჩართოლანი

◎ როცა პასუხი უკვე იცი...

ევროს პროვაიდერი ცოლი და დედა

„კითხვები შეგიძლია, არ დამისვა, ვეცდები, ჩემი ამბავი თვითონ გიამბო.

თბილისიდან ვარ, ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც ზრუნვა და სითბო არ მომკლებია. ყველაფერი პრესტიჟული მქონდა: სკოლა, უმაღლესი. მხოლოდ დროსტარებაზე ვფიქრობდი, გათხოვებითაც სიყვარულით დავოჯახდი, ჯანმრთელი შვილები... რომც მინდოდეს, ცუდს ვერაფერს ვიხსენებ.

შემდეგ კი ყველასთვის ნაცნობი კოშმარი დაიწყო.

დაწვრილებითაც რომ არ მოგიყვე, ხვდები, ალბათ, აქ რატომ აღმოვჩნდი. 2 წლით ჩამოვედი და მას მერე 15 წელი გავიდა.

რამდენი დამცირება და ტკივილი ავიტანე. მარგარეტ ტეტჩერისა არ ვიცი, მაგრამ მე კი ნამდვილად ვყოფილვარ „რკინის ლედი“.

სახლი დავიხსენი, ვალები გავისტუმრე, მშობლების საფლავი მოვაწესრიგე, მეუღლეს მცირე ბიზნესის აწყობაში დავეხმარე, შვილებს განათლება დავუფინანსე, ტანსაცმელზე და სხვა საჩუქრებზე ხომ აღარ დავწვრილმანდები... და საქართველოში დავბრუნდი.

ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი „ვაი“ კი აქ მელოდა, როცა მივხვდი, რომ დედა და ცოლი თურმე ევროს „პროვაიდერად“ გადავქცეულვარ. აღარ მკითხავ, ალბათ,საბერძნეთში რატომც დავბრუნდი.

გული საქართველოში დავტოვე, მაინც ფეთქავდა ეგ ოხერი და ცოცხლად ხომ არ დავმარხავდი?

მალე შვილიშვილი მეყოლება, ეცოდინება, რომ თოვლის ბაბუა, ბოდიში „სანტა-კლაუსი“ ლაპლანდიაში ცხოვრობს და მშობლებს თუ დაუჯერებს, ახალ წელს საჩუქარს მიიღებს, ბებია კი – საბერძნეთში და რაც არ უნდა ცუდად მოიქცეს, საჩუქარი ყოველ თვე გარანტირებული აქვს. ვიცი, რომ გზა, რომელსაც ტაძრამდე არ მივყავართ, საჭირო არ არის, მაგრამ ბებია, რომელიც საჩუქრებს ვეღარ ჩუქნის, საჭიროა თუ არა, როცა გაიზრდება, თვითონ გადაწყვიტოს, მე კი ამ კითხვაზე პასუხი უკვე ვიცი.“

ნინო ბაჯელიძე

◎ კულტურული კავშირები

შვეიცარიული „წიგნის დესანტი“ საქართველოში

საკუთარი კულტურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციასა და პროპაგანდას მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანა ეწევა და ამ ყოველი ერისთვის საშურ საქმეში გამონაკლისი არც შვეიცარიის კონფედერაციაა. ამ დიდ საქმეში მას მნიშვნელოვან დახმარებას ავსტრიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო უწევს, რის თვალნათელი მაგალითი წინა კვირას თბილისის ილია ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ავსტრიული კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკაში შვეიცარიული ლიტერატურის განყოფილების გახსნა გახლავთ.

ქვეყნებს შორის კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობათა განვითარებისა და განმტკიცების კეთილშობილურ საქმეს დიდ დახმარებას უწევს ავსტრიისა და შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროების, ასევე შვეიცარიის კულტურის სახელმწიფო ფონდის „პრო ჰელვეციას“ ინიციატივა, რომლის ფარგლებში მსოფლიოს სამ ათეულ ქვეყანაში არსებული ავსტრიული კულტურული ცენტრების ბიბლიოთეკებთან შვეიცარიული ლიტერატურის განყოფილებები გაიხსნა. ამჯერად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი განყოფილება ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ავსტრიული კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკასთან 20 დეკემბერს გაიხსნა.

საზეიმო თავყრილობა შესავალი სიტყვით უნივერსიტეტის ავსტრიის კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკის დირექტორმა მზია გალდავაძემ გახსნა, რომელმაც პროექტის კულტურული მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა. საქართველოში შვეიცარიის ელჩის მოადგილემ **ფლორიან ჰაბლერმა** ილიას უნივერსიტეტს საჩუქრად წიგნები გადასცა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ილაპარაკა.

სიტყვით გამოსულმა უნივერსიტეტის პროფესორმა **გიგა ზედანიამ** ახლადგახსნილ შვეიცარიული ლიტერატურის განყოფილებას უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოცემული პაულ ვილმერის წიგნი „შვეიცარია, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა“ უსახსოვრა. უნდა ითქვას, რომ მანამდე შვეიცარიულ-ქართული ურთიერთობების ამსახველი სერიოზული ნაშრომი არ დასტამბულა, ამდენად ბატონ გ. ზედანიას რედაქტორობით გამოსული ეს წიგნი განყოფილებისთვის დიდებული ძღვენია. მთარგმნელმა **შორენა შამანაძემ,** რომელსაც შვეიცარიული ფონდის მთარგმნელობითი სტიპენდია ორჯერ აქვს მიღებული, დამსწრეთ სამომავლო გეგმებზე გაიცნო. გარდა ამისა, მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ავსტრიის კულტურული ცენტრის ბიბლიოთეკის თანამშრომელმა **გიგა ხოსიტაშვილმა,** უნივერსიტეტის პედაგოგმა **ანა ბაკურაძემ,** სხვებმა.

ოთარ ტურაბელიძე.

ფოტოზე: ცენტრში – საქართველოში შვეიცარიის ელჩის მოადგილე ფლორიან ჰაბლერი, ცენტრის დირექტორი მზია გალდავაძე, საელჩოს თანამშრომელი თეა მანჯგალაძე.

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

◎ ალიან-ჩალიანი

ვანო მერაბიშვილის განცხადებაზე სასჯელაღსრულების სამინისტროს გენინსპექციამ სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო

ამის შესახებ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი.

„20 დეკემბერს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის სოზარ სუბარის დავალებით, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ადვოკატ დავით ხაჟალიას განცხადების საფუძველზე, ბრალდებულ ივანე მერაბიშვილის მიმართ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 39 დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო.

სამსახურებრივი შემოწმების შედეგის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებას მოგვიანებით მიეწოდება“, ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სტამბოლში „საქართველოს ბანკის“ ოფისს ნიკა გილაური უხელმძღვანელებს

„საქართველოს ბანკმა“ თურქეთში, სტამბოლში, წარმომადგენლობითი ოფისი გახსნა. როგორც „ინტერპრესნიუსს„ „საქართველოს ბანკიდან“ აცნობეს , ოფისის გახსნა სტამბოლში, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია საქართველოსა და თურქეთს შორის არსებული ინვესტიციებისა და ვაჭრობის მნიშვნელოვანი მოცულობის არსებობით, წარმომადგენლობითი ოფისი ფოკუსირებული იქნება თურქეთის ფინანსურ ინსტიტუტებთან და ბიზნეს წრეებთან ურთიერთობის გაღრმავებაზე.

სტამბოლის ოფისი, „საქართველოს ბანკის“ რიგით მეოთხე უცხოური წარმომადგენლობაა თელ-ავივის, ლონდონისა და ბუდაპეშტის შემდეგ.

ინტერპრესი

◎ ხელბურთი

ორი – შინ და ორიც – გარეთ

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები (**მეკარეები** – შოთა თევზაძე (რუმინეთის „შტიინცა ბაკეუ“, 200 სმ), გიგა ტორონჯაძე (თურქეთის „ტრაბზონსფორი“, 188 სმ), გაგა სამყურაშვილი (ბათუმი, 188 სმ), **ხაზის მოთამაშეები** – გიორგი გვაზავა (სტუ, 198 სმ), უჩა მაისურაძე (ბათუმი, 187 სმ), ლევან ბერძენიშვილი (სტუ, 192 სმ), **შუამარბ-გამთამაშებლები** – სერგო დათუკაშვილი (ლიბიის „ას სადი“, 198 სმ), ირაკლი ჩიქოვანი (რუმინეთის „ტიმიშოარა“, 197 სმ), **გამთამაშებელი** – აკაკი ტალახაძე (უგუნდო, 191 სმ), **შუამარბები** – ვლადიმერ რუსია (რუმინეთის „შტიინცა ბაკეუ“, 202 სმ), რატი მსხვილიძე (თურქეთის „ტრაბზონსფორი“, 208 სმ), ზურაბ სიმონია (სტუ, 190 სმ), თეიმურაზ ორჯონიკიძე (სტუ, 197 სმ), ლექსო წითელიშვილი (სამტრედია, 190 სმ), **გარემარბ-გამთამაშებელი** – უჩა გამზარდია (ბათუმი, 172 სმ), **გარემარბები** – ზურაბ აბრამიშვილი (სტუ, 193 სმ), ილია გოგალაძე (სტუ, 190 სმ), რეზო ჭანტურია (მაკედონიის „ზომიმაკსტრუმიცა“, 177 სმ), ოთარ ამირანაშვილი (სტუ, 195 სმ), **მთავარი მწვრთნელი** ჯორჯე რასიჩი, **მწვრთნელები** – ირაკლი კეკელიძე, ბექარ ორჯონიკიძე) სერბი სპეციალისტის – ჯორჯე როსიჩის ხელმძღვანელობით 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდისთვის ემზადება. ჩვენი გუნდი 25 დეკემბრამდე თბილისში ივარჯიშებს, შემდეგ ისრაელში გაემგზავრება, იქ ერთ ამხანაგურ შეხვედრასაც გამართავს, 2 იანვარს კი ანკარაში თურქეთთან შესარჩევ მატჩს ითამაშებს. 5 და 8 იანვარს თბილისში თურქეთი და ლიტვა გვეწვევა, ხოლო შესარჩევ ტურნირს ქართველები 11 იანვარს ფინეთში დაასრულებენ.

მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატის ევროპის 1 საკვალიფიკაციო ჯგუფში ამჟამად ასეთი მდგომარეობაა: ლიტვა – 4, საქართველო, ფინეთი – 2-2, თურქეთი – 0 ქულა.

კალენდარი

2 იანვარი. ფინეთი – ლიტვა, თურქეთი – საქართველო.

4 იანვარი. ლიტვა – ფინეთი,

5 იანვარი. საქართველო -– თურქეთი.

8 იანვარი. საქართველო – ლიტვა, თურქეთი – ფინეთი.

11 იანვარი. ფინეთი –საქართველო,

12 იანვარი. ლიტვა – თურქეთი.

ლაშა დიდია

სურათზე: უტევს ვლადიმერ რუსია.

სერბეთი. მსოფლიოს ქალთა ჩემპიონატი. ფინალი. სერბეთი – ბრაზილია 20:22. **მატჩი III ადგილისთვის**. დანია – პოლონეთი 30:26.

◎ ფეხბურთი

აქეთურ-იქითური

საქართველოს სუპერთასი. „დინამო“ – „ჩიხურა“ 0:1 (ტატანაშვილი). ეს საჩხერელთა პირველი ტიტულია. ვულოცავთ!

* * *

„სალერის თასის“ გათამაშება ჭაბუკთა შორის. „საბურთალო“ – „ატლეტიკო“ 1:1 (პენალტებით – 5:4).

* * *

იტალია. „ინტერი“ – „მილანი“ 1:0, „ატალანტა“ – „იუვენტუსი“ 1:4, „რომა“ – „კატანია“ 4:0, „კალიარი“ – „ნაპოლი“ 1:1, „სასუოლო“ – „ფიორენტინა“ 0:1.

ესპანეთი. „ხეტაფე“ – „ბარსელონა“ 2:5, „ატლეტიკო“ – „ლევანტე“ 3:2, „ვალენსია“ – „რეალი“ 2:3, „ბილბაო“ – „რაიო ვალეკანო“ 2:1, „ვილიარეალი“ – „სევილია“ 1:2.

ინგლისი. „ლივერპული“ – „კარდიფი“ 3:1, „საუთჰემპტონი“ – „ტოტენჰემი“ 2:3.

გერმანია. „ბორუსია“ – „ჰერტა“ 1:2, „ვერდერი“ – „ლევერკუზენი“ 1:0.

საფრანგეთი. „პარი სენ-ჟერმენი“ – „ლილი“ 2:2, „მარსელი“ – „ბორდო“ 2:2, „ლორიენი“ – „ლიონი“ 2:2.

* * *

მაროკო. მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი. ფინალი. „რაჯა კასაბლანკა“ – „ბაიერნი“ 0:2 (დანტე, ალკანტარა). **მატჩი III ადგილისთვის.** „ატლეტიკო მინეირო“ – „გუანჯოუ“ 3:2.

გიორგი შოთაძე

◎ ძიუდო

ჯემალ მჭედლიშვილის სახელობისა

ძარელელ ფალავან ჯემალ მჭედლიშვილს გასული საუკუნის 80-იან წლებში სამბოში, ძიუდოსა და ქართულ ჭიდაობაში არაერთხელ მოუპოვებია ჯილდოები. ქართულ ჭიდაობაში ორგზის აბსოლუტური ფალავანი სამბოში მსოფლიოს, ხოლო ძიუდოში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია.

ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების ორგანიზებით ქარელის სასპორტო სკოლის დარბაზმა უმცროსი ასაკის ძიუდოისტთა ჯემალ მჭედლიშვილის სახელობის ტრადიციულ ტურნირს უმასპინძლა. გაგაცნობთ გამარჯვებულთა ვინაობას:

29 კგ. ლუკა სუხიტაშვილი, **32 კგ.** გიორგი ლურსმანაშვილი (ორივე-ქარელი), **35 კგ.** დათო დვალიშვილი (გორი), **38 კგ.** დიმიტრი ხუციშვილი (ჭიათურა), **42 კგ.** შოთა ხაბალაშვილი (ქარელი), **46 კგ.** გუგა ძავაშვილი (გორი), **50 კგ.** ნიკა ხარაზიშვილი (ქარელი), **55 კგ.** ლევან ფსუტური (გორი), **60 კგ.** ოთარ პირველი, **66 კგ.** მალხაზ ხარებაშვილი (ორივე-ქარელი), **+66 კგ.** ალექსი სვიანაძე (ზესტაფონი).

გივი გაგუა

◎ ჩოგბურთი

ფერერმა მწვრთნელი შეიცვალა

სადღეისოდ მსოფლიო კლასიფიკაციის მესამე ნომრის დავიდ ფერერის მწვრთნელი ბოლო 15 წლის განმავლობაში ხავიერ პილესი გახლდათ. დამრიგებელ-ჩოგბურთელი კარგა ხნის განმავლობაში შეხმატკბილებულად მუშაობდნენ, 2013-ის სეზონი კი ვალენსიელი მოთამაშისთვის წარმატებული იყო, რასაც ფერერის მიერ მოპოვებული ტიტულები და რეიტინგსიაში დაწინაურება ადასტურებს. ყოველივე ამის მიუხედავად, ფერერმა ბევრისთვის მოულოდნელად საჯაროდ განაცხადა, რომ პილესთან სამწვრთნელო კონტრაქტი გაწყვიტა.

„უახლოეს საათებში ოფიციალურ განცხადებას გავაკეთებ და ხავიერთან კონტრაქტი გაუქმდება. ამას დანანებით ვადასტურებ, რადგან ჩვენი ურთიერთობა ოჯახურთან მიახლოებული გახლდათ. ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ვთანამშრომლობდით, მაგრამ ახლა ამგვარი გადაწყვეტილების მიღების დრო დადგა. მე და ხავიერი ერთმანეთს უპრობლემოდ დავშორდით. 2014 წელს ჩემი დამრიგებელი ხოსე-ფრანსისკო ალტური იქნება“. დავიდს მწვრთნელთან დაშორების მიზეზი არ დაუსახელებია.

შეგახსენებთ, რომ 2013 წელს დავიდ ფერერი პირველად გავიდა სადიდსლემო ტურნირის ფინალში – მან „როლან გაროსის“ გადამწყვეტი მატჩი რაფა ნადალთან დათმო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

„აია“ „ლოკომოტივს“ ვერ გაუმკლავდა

თბილისის „ლოკომოტივი“ საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მრავალგზის გამარჯვებულა და ქუთაისის „აიასთან“ მის დაპირისპირებას დიდი ხნის ისტორია აქვს. წლეულს პირველ წრეში რკინიგზელებმა რიონისპირელებს სტუმრად სძლიეს, ამიტომაც ქუთაისელები განმეორებით შეხვედრაში რევანშის წყურვილით გავიდნენ მოედანზე. პირველი წუთები სტუმართა იერიშებში მიილია და „აიამ“ უნაკლოდ გამოიყენა „ლოკომოტივის“ შეცდომა – ლელო ჩხიკვაძემ გაიტანა, ხოლო სინაურიძემ გარდასახვა შეასრულა უნაკლოდ.

32-ე წუთზე რკინიგზელებმა ფოფხაძის ლელოთი ანგარიშში სხვაობა შეამცირეს, თუმცა სტუმრებმა პირველი ტაიმი 6 ქულით (14:8) მაინც მოიგეს.

შესვენების შემდეგ „ლოკომოტივმა“ უფრო ორგანიზებულად შეუტია და თამაშის განახლებიდან 10 წუთში მეორე ლელო გაიტანა, რითაც ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა - 13:14. სტუმრების საპასუხო გოლს გუნდური ჩხუბი მოჰყვა და მატჩის არბიტრმა ორივე გუნდიდან თითო მორაგბე გააძევა. საფინალო სასტვენამდე დარჩენილ 20 წუთში რკინიგზელებმა თამაშში გარდატეხა შეიტანეს და 28:19 გაიმარჯვეს, რითაც გათამაშების ცხრილში მესამე ადგილზე გადაინაცვლეს. მართალია, „აია“ მეოთხეზეა, მაგრამ ერთი თამაში თადარიგში აქვს.

XII ტურის დანარჩენი შეხვედრები: „ბათუმი“ – „არმია“ 14:54, „ხარები“ – „ლელო“ 8:38, „ჯიქები“ – „არმაზი“ 6:9, „აკადემია“ – „ყოჩები“ 14:15.

სატურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ძ
1. ლელო	12	9	0	3	+171	44
2. არმია	12	8	1	3	+142	41
3. ლოკომ.	12	9	0	3	+72	40
4. აია	11	8	0	3	+77	36
5. ყოჩები	12	7	1	4	+35	34
6. არმაზი	11	7	0	4	-13	30
7. ჯიქები	12	5	2	5	+54	30
8. აკადემია	12	1	0	11	-178	8
9. ხარები	12	1	0	11	-172	7
10. ბათუმი	10	1	0	9	-188	6

მეორედაც ვძლიეთ

საქართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ უკრაინის 20-წლამდელთა გუნდი მეორე ამხანაგურ მატჩშიც დიდი ანგარიშით – 56:3 დაამარცხა (პირველი შეხვედრა – 84:9).

ლექსო ცინცაძე

◎ ინტერნეტიდან

რობოტები და ცნობილი ფეხბურთელები

მეცნიერება და ტექნიკა წინ რომ მიდის, ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. უკანასკნელ პერიოდში ტექნიკურმა მიღწევებმა, როგორც იტყვიან, შეუქცევადი სახე მიიღო და ისეთ სფეროსაც კი გვარიანი კვალი დაამჩნია, როგორიც, მაგალითად, სპორტია.

დაახლოებით 10 წელზე მეტია, რაც იაპონელმა გამომგონებლებმა რობოტების ფეხბურთი შექმნეს და რკინის მანქანებს ბურთის გორება ასწავლეს. თუმცა, ეს პროექტი შემდგომ ერთ ადგილზე გაიყინა და რობოტები ბევრით არაფრით გაუმჯობესებულა.



ცოტა ხნის წინათ კი, ისევ იაპონიაში, ტექნიკური მეცნიერების პროფესორმა, ვინმე ანიუკო ონჯიმ, რობოტებს სპეციალური პროგრამა ჩაუტვირთა, რომლის გამოისობითაც კონკრეტულ რობოტს თავისი ინდუვიდუალური სათამაშო სტილი ექნება. ეს მონაცემები მეცნიერმა რეალური ფეხბურთელებისაგან აიღო და დღეიდან სამყაროში არსებობენ რობოტები, რომლებიც მესის, რონალდუს, ინიესტასა და სხვა ცნობილი ფეხბურთელების მსგავსად თამაშობენ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

ჯემალი და მისი „რაზმი“ საახალწლოდ გვახალისებს

ფესზე იდგა საკონცერტო დარბაზი, ტაშისცემა და შეძახილები არ ცხრებოდა, სცენაზე გამოსულიყვნენ და მაყურებელს მადლობის ნიშნად თავს უხრიდნენ კონცერტში მონაწილე მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები... მაგრამ, რად უნდოდა დიდი მიხვედრა, რომ ეს აღტაცება თბილისელებისა, უპირველესად, ეკუთვნოდა უნიჭიერეს მუსიკოსს, ვირტუოზ გიტარისტს, მომღერალს, რეჟისორს, პოეტს, კომპოზიტორს, იუმორის ნიჭით მადლცხებულ **ჯემალ ბაღაშვილს, რომელიც** იდგა თავის კოლეგებში და დარბაზისა და სცენის განწყობილებას იზიარებდა... საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან ჯემალის მიერ დაარსებული ფირმა **„ლომისის“** ძალზე წარმატებულ პროექტს — **„პაროდიის თეატრს“** 15 წელი შესრულებოდა და ეს საიუბილეო თარიღი ჯემალ ბაღაშვილმა და მისმა მეგობრებმა **„იუმორინას“** განსაკუთრებული პროგრამით აღნიშნეს.

ჩვენ გვახსოვს, 15 წლის წინათ, ჩამუქებულ, დაღვრემილ თბილისში როგორ გაიბრწყინა „პაროდიის თეატრის“ სიხალისით, სიმღერითა და ცეკვით გაზავებულმა კასკასა პროგრამამ, რომელ-

საც, უპირველესად, ტონს ჩვენი სახელოვანი მსახიობები აძლევდნენ. თანდათან გამრავალფეროვნდა ეს ყოველივე, ქართველ მაყურებელს ახალ-ახალი სახეები, ცინცხალი იუმორი მონატრებოდა. იმ მსახიობთაგან, დღეს უკვე ზოგი აღარ დგას სცენაზე, მაგრამ ქართულ ნიჭს რა დალევს?! შაბათ საღამოს სცენაზე ვიხილეთ იმედისმომცემი დებიუტანტები, მაგალითად, ილია ბეროშვილი, ღირსშესანიშნავი თარიღის გამო ამერიკიდან სპეციალურად ჩამოვიდა ძველი „ლომისელი“ ვლად არამოვი, მოსკოვიდან ჩამოფრინდნენ მამუკა ონაშვილი და ლევან შენგელია... რა გასაკვირია, გაიბრწყინეს საღამოზე კახი კავსაძემ, ბიძინა მახარაძემ, „ქუჩის მუსიკოსებმა“... სიხალისე და იუმორი არ აკლდათ პროგრამის წამყვანებს ნინაკა გელაშვილსა და დათო როსტომაშვილს...

ჰოდა, როგორც გითხარით, ყველაფერ ამისთვის, სახეგაბრწყინებული მაყურებელი მადლობას უხდიდა კონცერტის მონაწილეთ, განსაკუთრებით კი საიუბილეო საღამოს თავკაცს ჯემალ ბაღაშვილს!

ჩვენი კოლეგის წარმატება არაჩვეულებრივ ფესტივალზე

კინოფესტივალი უამრავია, თუმცა, „წმინდა ანდრიას ჯვარი“, თავისი სახით, არსითა და ფორმით, საქართველოში პირველია და ჯერჯერობით ერთადერთი. ფესტივალის არსებობას „უმნიშვნელოვანესი მოვლენა“ და „დროული“ უწოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

ფესტივალის დაფუძნება, მისი აღმასვლა, თავისთავად არ მომხდარა. ამას დასჭირდა ბევრი შესანიშნავი ადამიანის ენთუზიაზმი, გაბედული იდეები, ცოდნა, გემოვნება, თავდადება. სწორედ ასეთი ადამიანები დგანან ფესტივალის ორგანიზატორ სტუდია **„მეოხის“** მხარდამხარ.

იმისთვის, რომ ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა (როგორც ამას პატრიარქმა უწოდა) არ შემოიფარგლოს მარტო ყოველწლიურად ხუთდღიანი საკონცერტო ჩვენებით, არამედ გახდეს მთელი საქართველოსთვის ხელმისაწვდომი, ფესტივალში გამარჯვებული და გამორჩეული ფილმები ნაჩვენები უნდა იქნას საქართველოს ყველა ეპარქიაში, აგრეთვე დასავლეთ ევროპის ეპარქიაში და იმ ქვეყნებში, სადაც ჩვენი თანამემამულენი მრავლად არიან წარმოდგენილი. საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ მშობლიურ ენაზე გაგონილი ღვთის სადიდებელი სიტყვა, კინოს ენით გადმოცემული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის საგანძურის ხილვა, თავისი ქვეყნის შეცნობა-არდავიწყება და მუდმივი კავშირი საქართველოსთან.

...და აი, ასოციაცია მეოხის ინიციატივით, **13-17 დეკემბერს** თბილისში გაიმართა მართლმადიდებელი ფილმების VIII საერთაშორისო კინოფესტივალი „წმინდა ანდრიას ჯვარი“, რომელმაც არაერთი შესანიშნავი ფილმი თუ ტელეგადაცემა გამოავლინა. ფესტივალზე გაიცემოდა 4 მთავარი

პრიზი, მედლები და სიგელები საუკეთესო მხატვრული ფილმისთვის, საუკეთესი ტელეგადაცემისთვის, საუკეთესო დოკუმენტური ფილმისა და ვიდეოარტისტის...

კომპეტენტურმა ჟიურიმ — მარინე კერესელიძის, ელდარ შენგელაიას, თამარ დოლარიძის, ირაკლი ხუციშვილის, მამა ელისე წერეთლის, ოთარ ლითანიშვილის და პოლონელი ეჟი ლუბახის შემადგენლობით, მთავარი პრიზი „ანდრიას ჯვარი“ გადასცა: **საუკეთესო მხატვრულ ფილმს — „ლუკა“ (რეჟისორი — ალექსანდრე პარხმენკო — უკრაინა), საუკეთესო ტელეგადაცემას — „გზა ყველგან და არსაით“ (ავტორი ნინო ხოფერია, რეჟისორი ზვიად მიქელაძე (საქართველო),** საუკეთესო დოკუმენტურ ფილმს — „სანთელი“ (რეჟისორი ირინა ვოლოხი — ბელორუსია), საუკეთესო ვიდეოარტს „რიკვა“ (მარიამ სულაქველიძე — საქართველო).

ფესტივალი „ანდრიას ჯვარი“ მნიშვნელოვანია არა მარტო პროფესიული ნიშნით შერჩეული ტელე და კინოპროდუქციით, არამედ ჰუმანური მიზანდასახულობითაც. ამის დასტურია სიგელი, რომელიც გადაეცა ნინო ხოფერიას ტელეგადაცემისთვის „გზა ყველგან და არსაით“. გადაცემის გმირია ურთულესი ცხოვრების გზაგავლილი, წარმოშობით უკრაინელი ახალგაზრდა, თბილისის ქუჩებსა და მიწისქვეშა გადასასვლელებში რომ მღერის, თავისი არც გვარი ახსოვს და არც ასაკი... როგორც ნინო ხოფერია ამბობს, ფესტივალმა ამ გაუბედურებული ადამიანის ცხოვრებაში სასიკეთო კორექტივები და სამომავლო სხივი შეიტანა.

მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი, ამჯერად, განსაკუთრებული იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციისთვის. აკი, ჩვენი ნინო, ჩვენი ნიჭიერი კოლეგა, თავისი გამორჩეული პუბლიკაციებით საშაბათო ნომრების „გამცოცხლებელი“ ნინო ხოფერია, მთავარი პრიზით დაჯილდოვდა საუკეთესი ტელეგადაცემისთვის. სულითა და გულით ვუსურვებთ ნინოს ამ არაჩვეულებრივ წარმატებას!

სურათზე: ავტორი გამარჯვებული ტელეგადაცემისა — „გზა ყველგან და არსაით“ — ნინო ხოფერია და რეჟისორი ზვიად მიქელაძე.

მის ქალობას ლოცავენ...

განსაკუთრებული გამოსვლია გაზეთ **„თანადგომის“** ეს ნომერი მის გამომცემელსა და მთავარ რედაქტორს **ანზორ ბაბუსაძისა.** ნომერი ეძღვნება მშვენიერი ქალბატონის, შესანიშნავი მსახიობის **ნანა ყიფიანის** ნაადრევად გარდაცვალების მეორმოცე დღეს და მის ფურცლებზე ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები **ახასიათებენ ნანა ყიფიანის ქალობას.**

„ქალბატონი ნანა, უმშვენიერესია და დიდებული, ამასთანავე, ძალიან საყვარელია“ (პაატა ბურჭულაძე).

„ნანას არაერთხელ დაატყდა თავს განსაცდელი, მაგრამ ვერ გატეხა უბედურებამ. სათნოებამ და სულის სიმტკიცემ უფრო მეტი ბრწყინვალება შესძინა. ალბათ ასეთ კეთილშობილ მანდილოსნებზე დგას ჩვენი სამშობლო“ (რობერტ სტურუა).

„ბედნიერი ვარ და ვამაყობ ქალბატონ ნანასთან მეგობრობით — ჩვენი დედა ეკლესიის წყალობით“ (გურამ დოჩანაშვილი).

„ჭეშმარიტი სილამაზე — ეს არის სხივი სიყვარულის, რომელიც სულ ასხივებს. ეს არის ნანა ყიფიანი“ (მიხეილ კობახიძე).

„ნანა არის უნიკალური, უმშვენიერესი ქმნილება“ (ბიძინა კვერნაძე)...

„ეს ქალბატონი დონ ჟუანთა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ტარიელებისთვისაც კი მიუწვდომელი ოცნებაა“ (რეზო ჩხეიძე).

...და, ასეა გაზეთის ოთხივე გვერდზე — მის ქალობას ლოცავენ ჩვენი სახელგანთქმული ადამიანები... ღმერთო, ნათელში ამყოფე მშვენიერი ნანა ყიფიანის სული!

ვილენ მარდალეიშვილი

მეუღლე ირინა თოდუა, შვილები საბა, თამარ საბახტარაშვილები, სიძე არსენ გვენეტაძე, შვილიშვილები ლუკა, მარიამ გვენეტაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მიხეილ (ზურაბ) საბახტარაშვილი

პანაშვიდი 24, 25 დეკემბერს, დაკრძალვა 26 დეკემბერს, 15 სთ. მისამართი: რადიანის ქ№ 17.

◎ ინფორმაცია

295 ქართველი სამხედრო ავღანეთიდან დაბრუნდა

295 ქართველი სამხედრო ავღანეთიდან სამშობლოში დაბრუნდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის 295 სამხედრო მოსამსახურეს თავდაცვის მინისტრის მოადგილეები მიხეილ დარჩიაშვილი და ირაკლი გეგეჭკორი, ასევე გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ მაიორი ვახტანგ კაპანაძე ალექსეევკის აეროპორტში დახვდნენ.

გენერალური შტაბის უფროსის ვახტანგ კაპანაძის თქმით, სამხედრო მოსამსახურეთა როტაციით ჩანაცვლებისთვის კიდევ ორი ბატალიონი ემზადება.

ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედროებმა ISAF-ის მისია ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში ჰელმანდის პროვინციაში შეასრულა.

ბატალიონის მთავარი ამოცანა ოპერაციის რაიონში ამბოხებულთა ძალების გაუვნებელყოფა, ადგილობრივი მთავრობისა და ეროვნული უსაფრთხოების ძალების განვითარების მხარდაჭერა, უსაფრთხოების ზონების კონტროლი და აშშ-ის საზღვაო ქვეითებთან თანამშრომლობა იყო.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები ავღანეთში მისიის შესასრულებლად როტაციის წესით სექტემბრის ბოლოს გაემგზავრნენ. ბატალიონმა სამოქმედო არეალი სრულად ოქტომბრის დასაწყისში გადაიბარა. რამდენიმე კვირაში ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედროები სამშობლოში სრულად დაბრუნდებიან.

არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩინეს

თბილისის აეროპორტში არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩინეს. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი“, რეისით დუბაი — თბილისი, ჩამოფრინდა აზერბაიჯანის მოქალაქე ტ. მ. რომლის ბარგისა და ხელბარგის დათვალიერებისას აღმოჩენილ იქნა არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ: მობილური ტელეფონი — შზრწტუ 4თ — 2ცალი, iphone5 — 4 ცალი, ნოუთბუქი — 1 ცალი. საქონლის საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 4749,31 ლარი.

ასევე არადეკლარირებული საქონელი აღმოაჩნდა აზერბაიჯანის მოქალაქეს ე. ს.-ს, რომელიც იმავე დღეს ჩამოფრინდა „თბილისის აეროპორტში“ რეისით დუბაი-თბილისი. მისი ბარგისა და ხელბარგის დათვალიერებისას მებაჟე ოფიცრებმა აღმოაჩინეს არადეკლარირებული მობილური ტელეფონი iphone 4თ-3ცალი, iphone 5 თ — 1 ცალი, iphone 5 — 2 ცალი, Samsung Galaxy tab 2 — 1 ცალი, ნოუთბუქი TOSHIBA — 1 ცალი. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 5896.05 ლარი შეადგინა.

აღნიშნული სამართალდარღვევისათვის, ორივე პირს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა, შესაბამისად, 4749,31 ლარი და 5896.05 ლარი.

საბაჟოზე ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი პრეპარატები აღმოაჩინეს

საბაჟო გამშვები პუნქტის „ვალეს“ ტერიტორიაზე, ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი პრეპარატები აღმოაჩინეს. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, თურქეთის მხრიდან შემოსული ირანის მოქალაქის ფ.ჯ.-ის ბარგისა და ხელბარგის დათვალერებისას, მებაჟე ოფიცრებმა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი პრეპარატები აღმოაჩინეს. მგზავრს, 40 აბი დიფენოქსილატი, 60 აბი ქლორდიაზეპოქსიდი და 40 აბი აცეტამინოფენკოდეინი შემოჰქონდა.

საქმე შემდგომი რეაგირებისათვის შსს-ს სამცხე-ჯავახეთის მთავარ სამმართველოს გადაეცა.

ინტერპრესი

◎ დღესასწაული

წამებულნი და ღირსნი მამანი და დედანი



24 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ყველა იმ წმინდანს, რომლებიც საქართველოში ეწამნენ.

...საქართველოს ისტორიის ფურცლების გადახედვისას, ქართული აგიოგრაფიული ძეგლების გაცნობისას, გვებადება აზრი, რომ ზეციური საქართველო განუზომლად დიდია.

უამრავი ქართველი ქრისტესთვის, ეკლესიისა და ერის მომავლისთვის იბრძოდა და ეწამა.

ქრისტიანთა ღვაწლის აღწერა შეუძლებელია. ბევრმა ქართველმა მოიბანა მიწიერი მწიკვლი ქრისტესთვის თავდადებით უსჯულოებთან ბრძოლისას, ასევე ძალიან ბევრმა განიწმინდა სული მონასტრის ცივ კედლებში ლოცვით, მარხვითა და მოღვაწეობით, მხოლოდ ღმერთმა იცის ჩუმად მოღვაწე იმ ერისკაცთა და დედათა შესახებ, რომლებიც დაუღალავად ჭედდნენ საქართველოს ეკლესიისა და ერის მომავალს.

წმინდა გიორგი მთაწმინდელმა თავის დროზე ბრძანა: „რაჟამს ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არა სადა უარგვიყოფიეს და არცა ოდენ წვალებასა მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი“. ხოლო ამის შესახებ აი, რას წერს დიდი აკაკი წერეთელი უფრო მოგვიანებით: „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები, ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლავები“. სწორედ, ამ შესაძლებლობის გამო წერია დღევანდელი, სადღესასწაულო, 24 დეკემბრის მოსახსენებელში, რომ საქართველოში წამებულთა და ღირსთა მამათა და დედათა შორის უნდა ვიგულისხმოთ, ქართული ანბანის მიხედვით ჩამოთვლილი მამათა და დედათა ქართული წარმოშობის სახელი (ასეთი სამასამდეა!).

ტრადიციისამებრ, საზეიმო წირვის შემდეგ, ამბიონიდან მღვდელმსახურნი ტაძარში მყოფთ ასე მიმართავენ: დღეს, 24 დეკემბერს, ყველა თქვენგანის დღესასწაულია (რა სახელსაც არ უნდა ვატარებდეთ!), ხოლო ჯვრის მთხვევისას ხანგრძლივად „მრავალჟამიერს“ გალობს მგალობელთა გუნდი.

მთელ საქართველოს გილოცავთ ამ დღესასწაულს!

გიული ლიპარტია

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთებთ ვარაუდებს

უშიკიშვილიც „მოძესტეს“!

— მიიჩნევს „ქრონიკის“ მთავარი რედაქტორი ელისო კილაძე, — ეს ის უშიკიშვილია, რომელმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა თავის აღმზრდელსა და პედაგოგს ანზორ ერქომაიშვილს. ასევე უშიკიშვილმა პირდაპირი დანაშაული ჩაიდინა, როცა ანზორ ერქომაიშვილის მიერ მოპოვებული და გაშიფრული ქართული სიმღერების ჩანაწერების მეურვეობა მიითვისა, მეტიც, ბრიტანეთთან დადებული კონტრაქტის მიუხედავად, ეს დისკებზე გადაიტანა და როგორც კომერციული პროექტი, ისე გამოსცა. გოკა გაბაშვილთან უშუალო მეგობრობით მიაღწია იმას, რომ იუნესკოს ეროვნული კომისიიდან ანზორ ერქომაიშვილი გამოიყვანეს. სხვათა შორის, გიორგი უშიკიშვილის მფარველთა რიცხვშია კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილიც, ანუ უშიკიშვილმა ახალი ხელისუფლების პირობებშიც იპოვა მხარდამჭერი, ყოველ შემთხვევაში, სცადა, მაგრამ მანანამაც ვეღარ გადაარჩინა.„

„ასავალ-დასავალი“

აძვს თუ არა მთავარ პროკურორს უმაღლესი განათლება

როგორ შეძლო 19 წლის ოთარ ფარცხალაძემ უმაღლესი იურიდიული სასწავლებლის დიპლომის მიღება? — იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის დიპლომის შემდეგ კითხვები მთავარი პროკურორის, ოთარ ფარცხალაძის განათლების დამადასტურებელი საბუთების გამო გაჩნდა. თუმცა, ამჯერად, ინტერესის საგანი არა მხოლოდ ფარცხალაძის უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი, მისი სასკოლო ატესტატიც გახდა. როგორც იურისტები აცხადებენ, თუკი დადასტურდება, რომ ფარცხალაძის დოკუმენტებში სიყალბეა, ის არა მარტო მთავარი პროკურორის სავარძელს დაემშვიდობება, არამედ, შესაძლოა, პასუხისგებაც მოუწიოს.

„რეზონანსი“

წალკა — შუა საუკუნეების აჩრდილი 21-ე საუკუნეში

იმ დროს, როცა აჭარის ხელისუფლებაში მოკალათებული ცალკეული „პატივცემული გვამები“ 63-ათასიანი ჯიპებით ნავარდზე ოცნებობენ, წალკის მუნიციპალიტეტის 24 სოფელში ჩასახლებული რამდენიმე ასეული აჭარელი ეკომიგრანტის ოჯახს შიმშილით სული ძვრება. „შიმშილით სულის ამოძრობა“ შეიძლება, უტრირებული ნათქვამია, მაგრამ წალკაში აშკარად შუა საუკუნეებია — მუდმივ ინტერნეტსა და ტექნიკის სხვა მიღწევებს ვინ ჩივის, წყალიც სანატრელი აქვთ. აქ ხალხი წყლის რიგში ზოგჯერ 24 საათი დგას. აჭარის ეკომიგრანტებს სამი მარტივი მოთხოვნა აქვთ: საცხოვრებელი სახლების, მიწის ნაკვეთების დამტკიცება და იაფი კრედიტის მიღება. თუ ხელისუფლება ამ მოთხოვნებს, მინიმუმ, არ განიხილავს, ეკომიგრანტები გაზაფხულზე ბათუმში ჩასვლით და რევოლუციის მოწყობით იმუქრებიან.

„ვერსია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ დაიჯესტი

„რკინის ქალი“ კი არა, ეგ „რკინის კაცია“

— ამ ქალს კალიგულას თვალები და მერილინ მონროს ტუჩები აქვს, — თქვა ერთხელ მარგარეტ ტეტჩერის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა.

ქალაქ გრანთემში ტეტჩერების სახლს ახლა მემორიალური დაფა ამშვენებს. თავის დროზე იქ მარგარეტის მამის, ალფრედ რობერტსის წვრილმანების მაღაზია იყო, სადაც დღესდღეობითაც შემორჩენილია დახლი, რომელთანაც პატარა მეგი მამას ჩაისა და ნამცხვრის გაყიდვაში ეხმარებოდა. ძველ ხალხს ახლაც ახსოვს, რომ მამამისი ალბერტი ქალაქში განთქმული ხელმომჭირნე კაცი იყო — ქალიშვილისთვის იგი არასდროს ყიდულობდა სათამაშოებს, არ აძლევდა კინოს ფულს. მიუხედავად ამისა, მეგისთვის მამა კერპი იყო და მუდამ ყურადღებით უსმენდა მას, როცა იგი პოლიტიკაზე მსჯელობდა.

მეგობრები მეგის არც ბავშვობაში, არც ყმაწვილქალობაში არ ჰყოლია, რადგან მისი თანატოლები მემარცხენე შეხედულებისანი იყვნენ, თავად კი მუდამ მემარჯვენე, ამიტომაც ეული იყო.

მარგარეტ ტეტჩერი პოლიტიკოსად, მაგრამ არა პრემიერ-მინისტრად დაიბადა, რადგან იმხანად და, ალბათ, ახლაც, ყველაზე მაღალი თანამდებობა, რომელსაც ბრიტანულ პოლიტიკაში ქალმა შეიძლება მიაღწიოს, გენერალური ხაზინადრის პოსტი იყო. მაგრამ მან კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარის თანამდებობას მიაღწია და 53 წლის ასაკში პრემიერ-მინისტრი გახდა. თუმცა კი, ყოველივე ეს მას ძვირი დაუჯდა, რადგან ცხოვრება ქალური იდეალებისა და დაქალების გარეშე გატარა. როცა „რკინის ლედი“ შეარქვეს, დიპლომატებმა მის მიმართ თავაზიანობა გამოიჩინეს, პალესტინის ლიდერი იასირ არაფატი კი გაცილებით მოურიდებელი იყო — მას „რკინის კაცი“ უწოდა.

არადა, დროთა განმავლობაში იგი შეიცვალა, დაუმეგობრდა პირად საკითხებში თავისი მდივნის მეუღლეს და იტალიური მოდითაც დაინტერესდა. ფრანგული გამოცემის „კოტიდიენ დე პარის“ აზრით, „ხელისუფლება მამაკაცებს აფუჭებს, ქალბატონებს კი ამშვენებს“.

სიმარტოვეს მოუკვდა პატრონი!

მარტოობა ადამიანებს მატერიალური ავანტიურებისკენ უბიძგებს.

ჰონკონგის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა კვლევების შედეგად დასკვნა გამოიტანეს, რომ, ადამიანები, რომლებიც თავს ეულად გრძნობენ, ურთიერთობათა დეფიციტის კომპენსირებას ფულით ცდილობენ, რის გამოც ავანტიურებზე წამსვლელებიც ხდებიან. მკვლევრების განცხადებით, სხვებზე ხშირად თაღლითების მსხვერპლი მარტოხელა მოხუცები ხდებიან.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— წარმოგიდგენია, შევედი გუშინ სადარბაზოში და მანიაკი დამხვდა!

— ო, რა საშინელებაა!

— ჰო, მანაც ეს წამოიძახა...

* * *

— დეიდა, გუშინ თქვენ არასწორად დამიბრუნეთ ხურდა, — ეუბნება ბიჭი მაღაზიის გამყიდველს.

— რას ამბობ, ბიჭუნა? ასეც რომ იყოს, გუშინვე უნდა მოსულიყავი, დღეს უკვე გვიანია.

— კარგი, რახან ასეა, დავიტოვებ იმ ზედმეტ ორ ლარს.

* * *

— ღმერთო, გთხოვ, გაამაგრე და წარმართე, გაამაგრე და წარმართე!.. — ლოცულობს ხატის წინ დაჩოქილი მოხუცი.

— შენ მარტო გამაგრება შესთხოვე, წარმართვას მეც შევძლებ, — უკარნახებს ცოლი.

* * *

რუსი და ებრაელი რადიოს უსმენენ და გებულობენ, რომ ომი დაიწყო.

— ღმერთო, ეს რა პრობლემებია, რა პრობლემები. ოჯახი გასაყვანი მყავს სადმე, ნივთები ჩასაწყობი მაქვს, თვითონაც უნდა წავიდე და მოვეწყო სადმე. ეს რა პრობლემები დამატყდა თავს!..

— ჰო, რა თქმა უნდა, ომი მართლაც დიდი პრობლემებია, — ეთანხმება რუსი.

— კარგი რა, ნუ მაცინებ, შენ რა პრობლემები გაქვს — აიღებ თოფს, წახვალ ფრონტზე და მორჩა.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24